პოლიტიკური თანამდებობის პირის გზამკვლევი

2021

აღნიშნული გზამკვლევი მომზადდა ანა ფირცხალაშვილის მიერ აშშ-ის საერთაშორისო განვითარების სააგენტოს (USAID) დემოკრატიული მმართველობის ინიციატივის (GGI) ფარგლებში.

გზამკვლევში გამოთქმული შეხედულებები არ გამოხატავს აშშ-ის მთავრობის, USAID-ის ან GGI-ის შეხედულებებს.

ISBN 978-9941-8-4021-0

სარჩევი

წინასიტყვაობა 4

1. ადგილობრივი თვითმმართველობის არსი და მისი ადგილი სახელმწიფოს მმართველობაში 5

1.1. მმართველობა სახელმწიფო და ადგილობრივი თვითმმართველობის დონეზე 5
1.2. ხელისუფლების დანაწილების პრინციპი ჰორიზონტალურ და ვერტიკალურ განზომილებაში 6
1.3. ადგილობრივი თვითმმართველობის სამართლებრივი საფუძვლები 7
1.4. ადგილობრივი თვითმმართველობის როლი სახელმწიფო მმართველობაში 9
1.5. მუნიციპალიტეტის მმართველობითი სტრუქტურა 10
1.6. დეცენტრალიზაციის ახალი პოლიტიკა და მისი გავლენა პოლიტიკური თანამდებობის პირზე, დაგეგმილი რეფორმები და ამოცანები 10

2. ადგილობრივი თვითმმართველობის პოლიტიკური თანამდებობის პირი და მისი საქმიანობის ფარგლები ადგილობრივი თვითმმართველობის პოლიტიკის განხორციელების დროს 13

2.1. პოლიტიკურ თანამდებობებზე განწესება 13
ა) სახელმწიფო რწმუნებული და მისი მოადგილე 13
ბ) მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარის არჩევისა და თანამდებობიდან გადაყენების წესი 14
გ) მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარის მოადგილის არჩევისა და დათხოვნის წესი 15
დ) მუნიციპალიტეტის საკრებულოს კომისიის თავმჯდომარის არჩევის და თანამდებობიდან გადაყენების წესი 15
ე) მუნიციპალიტეტის საკრებულოს ფრაქციის თავმჯდომარე და მისი მოადგილე 16
ვ) მუნიციპალიტეტის მერის, მერის მოადგილის არჩევის წესი 16
2.2. პოლიტიკური თანამდებობის პირის საქმიანობის შინაარსი 21
ა) სახელმწიფო რწმუნებული და მისი მოადგილე 21
ბ) მუნიციპალიტეტის საკრებულოს თანამდებობის პირების საქმიანობა 21
გ) მუნიციპალიტეტის საკრებულოს კომისიის თავმჯდომარე და მისი მოადგილე 22
2.3. ადგილობრივი თვითმმართველობის პოლიტიკური თანამდებობის პირის საქმიანობა 30
2.4. ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოების და პოლიტიკური თანამდებობის პირების სამართლებრივი აქტები 30

3. მუნიციპალიტეტის ორგანოების პოლიტიკური თანამდებობის პირი, როგორც საჯარო დაწესებულებაში დასაქმებული პირი და მისი უფლებამოსილებანი 31

3.1. პოლიტიკური თანამდებობის პირი და საჯარო მოსამსახურე 32
3.2. ადგილობრივი თვითმმართველობის პოლიტიკური თანამდებობის პირის მიმართ „საჯარო სამსახურის შესახებ“ საქართველოს კანონის და საქართველოს ორგანული კანონის „შრომის კოდექსის“ მოქმედების ფარგლები 34

4. ადგილობრივი თვითმმართველობის პოლიტიკური თანამდებობის პირი, როგორც მენეჯერი და ლიდერი 39

4.1. ადგილობრივი თვითმმართველობის პოლიტიკური თანამდებობის პირი მენეჯერის ფუნქციით. თანამდებობების ჩამონათვალი და მათი ფუნქციური განმარტება 39
4.2. მენეჯერული ფუნქციის განმახორციელებელი პოლიტიკური თანამდებობის პირების მიმართ მოქმედი სამართლებრივი აქტები 42

5. ადგილობრივი თვითმმართველობის თანამდებობის პირის ვალდებულებები/პასუხისმგებლობა 45

5.1. ქვეყნის ანტიკორუფციული პოლიტიკის მოკლე მიმოხილვა 45
5.2. მიუკერძოებლობის პრინციპი 45
5.3. ანტიკორუფციული კანონმდებლობით განსაზღვრული ვალდებულებები 46
5.4. დეკლარაციის წარდგენის ვალდებულება 47
5.5. რეგულაციები ოჯახის წევრების მიმართ 48
5.6. შეუთავსებელი და შეთავსებადი საქმიანობის უფლება 49
5.7. ადმინისტრაციული გადაცდომა/ჯარიმა 52
5.8. ეთიკის ნორმების დარღვევა 53
5.9. პოლიტიკური თანამდებობის პირების სისხლის სამართლებრივი პასუხისმგებლობა 54

6. საჯარო სამსახურის ბიუროს მიერ პოლიტიკური თანამდებობის პირების მხარდაჭერა 55

წინასიტყვაობა

საჯარო სექტორი რთული, მრავალწახნაგოვანი და არაერთგვაროვანი სისტემაა. მასში დასაქმებული პირები ერთმანეთისგან განსხვავდებიან უფლება-მოვალეობათა შინაარსის მიხედვით. საჯარო სექტორში დასაქმებული პირები, რომელთა თანამდებობებზე განწესება პოლიტიკური არჩევნებისა თუ პოლიტიკური გადაწყვეტილებების საფუძველზე ხდება, პოლიტიკურ თანამდებობის პირებად იწოდებიან. იმის მიხედვით თუ ხელისუფლების რომელ დონეზეა ესა თუ ის თანამდებობა წარმოდგენილი, ერთმანეთისგან ვასხვავებთ სახელმწიფო-პოლიტიკური და პოლიტიკური თანამდებობის პირებს. პოლიტიკური თანამდებობის პირები ადგილობრივი თვითმმართველობისა და რეგიონული მმართველობის დონეზე გვხვდება და მათი ფუნქციების მრავალფეროვნებიდან გამომდინარე, აუცილებელია პოლიტიკური თანამდებობის პირთა მიერ საჯარო მმართველობითი ფუნქციების განხორციელებისას მნიშვნელოვანი უფლებამოსილებების მკვეთრი იდენტიფიცირება და განსაზღვრება.

წინამდებარე სახელმძღვანელო მომზადდა საჯარო სამსახურის ბიუროს ინიციატივით და მიზნად ისახავს სწორედ პოლიტიკური თანამდებობის პირთა სტატუსის, უფლებამოსილებებისა და პასუხისმგებლობის განმსაზღვრელი ნორმატიული აქტების შინაარსზე დაყრდნობით მათი საქმიანობის მრავალფეროვნების წარმოჩენას. სახელმძღვანელოში საინტერესოდაა განხილული ადგილობრივი თვითმმართველობის პოლიტიკური თანამდებობის პირთა სახეები, უფლებამოსილებები და მათი საქმიანობის მარეგულირებელი კანონმდებლობა. სახელმძღვანელო წარმოადგენს პოლიტიკური თანამდებობის პირებისთვის საინფორმაციო ბაზას, რომელიც პასუხობს შეკითხვებს იმის თაობაზე, თუ რას გულისხმობს ადგილობრივი თვითმმართველობის პოლიტიკური თანამდებობის პირთა პოლიტიკური და მმართველობითი საქმიანობები, თუ რა უფლებამოსილებების მატარებელია პოლიტიკური თანამდებობის პირი, როგორც მენეჯერი და ლიდერი და თუ რა სახის უფლებამოსილებები და შეზღუდვებია კანონმდებლობით გათვალისწინებული ადგილობრივი თვითმმართველობის კეთილსინდისიერად, კანონიერად და მიუკერძოებლად განხორციელების უზრუნველსაყოფად.

სახელმძღვანელო მომზადდა USAID-ის პროექტ „დემოკრატიული მმართველობის ინიციატივის“ (GGI) ფინანსური მხარდაჭერით და მისი ავტორია ქალბატონი ანა ფირცხალაშვილი. საჯარო სამსახურის ბიურო მადლობას უხდის პარტნიორ ორგანიზაციას სახელმძღვანელოს შექმნასა და საჯარო მმართველობის რეფორმის მხარდაჭერისთვის.

1. ადგილობრივი თვითმმართველობის არსი და მისი ადგილი სახელმწიფოს მმართველობაში

1.1. მმართველობა სახელმწიფო და ადგილობრივი თვითმმართველობის დონეზე

სახელმწიფო მმართველობის პროცესში პარლამენტი, როგორც ხალხის წარმომადგენლობითი ორგანო, ადგენს **სახელმწიფო პოლიტიკას (Politics)**. სახელმწიფო მმართველობის პროცესში არანაკლებ მნიშვნელოვანია პოლიტიკის აღსრულების, მისი განხორციელების **დარგობრივი პროგრამა (Policy)** რომელსაც მთავრობა ახორციელებს.

მნიშვნელოვანია ერთმანეთისგან გაიმიჯნოს სახელმწიფო პოლიტიკა და ადგილობრივი პოლიტიკა. სახელმწიფოს საშინაო და საგარეო პოლიტიკას განსაზღვრავს საქართველოს პარლამენტი, ხოლო ადგილობრივ თვითმმართველობებში ადგილობრივი საკითხების გადასაწყვეტად, არჩეულია მუნიციპალიტეტის საკრებულო.

საქართველოში ადგილობრივი მნიშვნელობის საკითხების მოსახლეობის ინტერესების შესაბამისად გადაწყვეტას უზრუნველყოფს საჯარო მმართველობის სისტემის დემოკრატიზაცია, დეცენტრალიზაცია და ადგილობრივი თვითმმართველობის ეფექტიანი სისტემის ჩამოყალიბება.

მოქალაქეთა ცხოვრებაში ადგილობრივი თვითმმართველობის განსაკუთრებული როლიდან გამომდინარე, იგი კონსტიტუციურ რანგშია აყვანილი. მას საქართველოს კონსტიტუციის მეცხრე თავი ეძღვნება.

რა განსხვავებაა სახელმწიფო პოლიტიკასა და ადგილობრივი თვითმმართველობის პოლიტიკას შორის?

მნიშვნელოვანია აღინიშნოს, რომ ადგილობრივი თვითმმართველობა კონსტიტუციით მასზე მინიჭებული უფლებამოსილების ფარგლებში თავად იღებს გადაწყვეტილებას. ადმინისტრაციულ-ტერიტორიული მმართველობის კონტექსტში განსაკუთრებით საგულისხმოა **სუბსიდიარობის** პრინციპი.[1] იგი არის კონსტიტუციის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი პრინციპი. სუბსიდიარობის პრინციპი საფუძვლად უდევს გონივრული და რაციონალური მართვის პოლიტიკას. რაც იმას ნიშნავს, რომ ის საკითხები, რომელიც შეიძლება განხორციელდეს ადგილობრივი თვითმმართველობის დონეზე, არ შეიძლება მიითვისოს მმართველობის ზემდგომმა დონემ, თუ მათ აღნიშნული ფუნქციის შესრულება თანაბრად ეფექტიანად შეუძლიათ.

1. საქართველოს კონსტიტუციის მე-7 მუხლის მე-4 პუნქტის პირველი წინადადება

მნიშვნელოვანი განსხვავება სახელმწიფო და ადგილობრივ პოლიტიკას შორის:

- სახელმწიფო პოლიტიკა, თავისი შინაარსიდან გამომდინარე არის სახელმწიფო მმართველობის დონეზე მიღებული გადაწვეტილებები და პრინციპები, რომელიც ვრცელდება საქართველოს ტერიტორიაზე.
- ადგილობრივი თვითმმართველობა სამოქმედო მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე აღსასრულებელ გადაწყვეტილებებს იღებს, რომელიც თავის მხრივ არ უნდა ეწინააღმდეგებოდეს სახელწმწიფო პოლიტიკას და ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოს მიერ მისი უფლებამოსილების ფარგლებში მიღებული გადაწყვეტილება, შესასრულებლად სავალდებულოა მხოლოდ შესაბამისი თვითმმართველი ერთეულის ტერიტორიაზე.

1.2. ხელისუფლების დანაწილების პრინციპი ჰორიზონტალურ და ვერტიკალურ განზომილებაში

ხელისუფლების დანაწილება, როგორც წესი ორგვარია: ვერტიკალური და ჰორიზონტალური. ვერტიკალური გულისხმობს ცენტრალური, რეგიონალური და მუნიციპალური (ადგილობრივი თვითმმარველობის) ხელისუფლების არსებობას, ხოლო ჰორიზონტალური - საკანონმდებლო, აღმასრულებელ და სასამართლო ხელისუფლებას.

თავიანთი უფლებამოსილებების განხორციელებისას ხელისუფლების შტოებს არ უნდა ჰქონდეთ შესაძლებლობა შეიჭრან სხვა ხელისუფლების შტოს სფეროში. ამის უზრუნველსაყოფად ხელისუფლების დანაწილების მექანიზმში მოქმედებს ურთიერთშეკავებისა და გაწონასწორების სისტემა.

სწორედ ხელისუფლების ვერტიკალური დანაწილება მოითხოვს დეცენტრალიზაციას. ადგილობრივი თვითმმართველი ერთეულების უფლებამოსილებები ცენტრალური მმართველობიდან მომდინარეობს. ამასთან მას აქვს სახელმწიფო ხელისუფლებისგან განსაზღვრული დამოუკიდებლობა.

- **იურისდიქციული დამოუკიდებლობა,** რომელიც ხორციელდება სახელმწიფო იურისდიქციის პარალელურად ადგილობრივი თვითმმართველობის მიერ და მათ სამოქმედო ტერიტორიაზე და მათივე უფლებამოსილების ფარგლებში მიღებული გადაწყვეტილებების სავალდებულოობას გულისხმობს.
- **სამართალშემოქმედებითი დამოუკიდებლობა,** რომელიც ხორციელდება ადგილობრივი თვითმმართველობის წარმომადგენლობითი ორგანოს მიერ და გამოიხატება სამართლებრივი რეგულაციების დადგენაში.
- **ფინანსური დამოუკიდებლობის** ფარგლებში ადგილობრივი თვითმმართველობა კანონით დადგენილი წესით და საკუთარი პასუხისმგებლობით აწესრიგებს საკუთარი საქმიანობის ფინანსურ საკითხებს.
- **ორგანიზაციული დამოუკიდებლობა** გულისხმობს რომ ადგილობრივი თვითმმართველობა თავად განსაზღვრავს საკუთარ ორგანიზაციულ მოწყობას, მისი უფლებამოსილებების ეფექტიანად შესრულების მიზნით.
- **დამოუკიდებლობა საკადრო პოლიტიკაში.** მიუხედავად საჯარო სამსახურის ერთიანობის პრინციპისა, ადგილობრივი თვითმმართველობა საკუთარი კომპეტენციით წყვეტს საკუთარი ორგანოების საშტატო რიცხოვნობას და განრიგს, მოსამსახურეთა თანამდებობრივ სარგოს და ა. შ.

ავტონომიის მიუხედავად, არსებობს ზედამხედველობის ფარგლები, რომლის თანახმად სახელმწიფო ცენტრალური ხელისუფლება ახორციელებს სამართლებრივ ზედამხედველობას თვითმმართველი ერთეულის საქმიანობაზე. ამგვარი ზედამხედველობა გადაწყვეტილებათა მიზანშეწონილობის უზრუნველყოფის მიზნით, დასაშვებია მხოლოდ დელეგირებული უფლებამოსილების საფუძველზე მიღებულ გადაწყვეტილებებთან მიმართებით. სახელმწიფო ზედამხედველობა ხორციელდება ორგანული კანონით დადგენილი წესით, თანაზომიერების პრინციპის შესაბამისად.[2]

იმავდროულად გასათვალისწინებელია, რომ სახელმწიფო ხელისუფლების ორგანოები ადგილობრივ თვითმმართველობასთან დაკავშირებულ საკითხებზე გადაწყვეტილებებს იღებენ თვითმმართველ ერთეულებთან კონსულტაციით.

1.3. ადგილობრივი თვითმმართველობის სამართლებრივი საფუძვლები

ადგილობრივი თვითმმართველობის განხორციელების სამართლებრივი საფუძვლებია: საქართველოს კონსტიტუცია, „ადგილობრივი თვითმმართველობის შესახებ ევროპული ქარტია“, საქართველოს საერთაშორისო ხელშეკრულებები და შეთანხმებები, საქართველოს ორგანული კანონი „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი”, საქართველოს სხვა საკანონმდებლო და კანონქვემდებარე ნორმატიული აქტები.

2. საქართველოს კონსტიტუციის 75-ე მუხლის მე-5 პუნქტი

ადგილობრივი თვითმმართველობის მარეგულირებელი ძირითადი სამართლებრივი აქტები:

თავად თვითმმართველი ერთეული არის საჯარო სამართლის იურიდიული პირი. გადაწყვეტილებას თვითმმართველი ერთეულის შექმნის, გაუქმების ან მისი საზღვრების შეცვლის თაობაზე შესაბამის თვითმმართველ ერთეულებთან კონსულტაციით მთავრობის წარდგინებით იღებს პარლამენტი.

სად გვხვდებიან პოლიტიკური თანამდებობის პირები?

საქართველოში პოლიტიკური თანამდებობის პირები გვხვდებიან რეგიონულ მართვასა და ადგილობრივ თვითმმართველობაში

პოლიტიკური თანამდებობის პირია:

- *სახელმწიფო რწმუნებული და მისი მოადგილე,*
- *მუნიციპალიტეტის საკრებულოს თანამდებობის პირი,*
- *მუნიციპალიტეტის მერი, მერის მოადგილე;*

პოლიტიკური თანამდებობის პირები – სახელმწიფო რწმუნებული და მისი მოადგილე, მუნიციპალიტეტის საკრებულოს თანამდებობის პირი, მუნიციპალიტეტის მერი, მერის მოადგილე

– ახორციელებენ პოლიტიკურ მართვას მუნიციპალიტეტის დონეზე, განსხვავებით სახელმწიფო პოლიტიკური თანამდებობის პირებისაგან, რომელთა საქმიანობაც არ შემოიფარგლება კონკრეტული მუნიციპალიტეტის/მუნიციპალიტეტების ტერიტორიით.

პოლიტიკური თანამდებობის პირები იცვლებიან მუნიციპალიტეტის დონეზე არსებული პოლიტიკური მდგომარეობის გათვალისწინებით, ხოლო მუნიციპალიტეტშივე დასაქმებული საჯარო მმართველობის განმახორციელებელი პირები არიან პროფესიული საჯარო მოხელის თანამდებობაზე უვადოდ დანიშნული პირები და მათზე პოლიტიკური ცვლილებები არ მოქმედებს.

1.4. ადგილობრივი თვითმმართველობის როლი სახელმწიფო მმართველობაში

იმისათვის, რომ მმართველობის სისტემამ ადეკვატურად უპასუხოს საზოგადოებრივ მოთხოვნილებებს და უზრუნველყოფილ იქნას მოქალაქეთა მონაწილეობა გადაწყვეტილებების მიღების პროცესში, აუცილებელია მმართველობითი უფლებამოსილებებისა და შესაბამისი რესურსების გადანაწილება მმართველობის ცენტრალურ და ადგილობრივი თვითმმართველობის დონეებს შორის.

ადგილობრივი მნიშვნელობის საკითხების მოსახლეობის ინტერესების შესაბამისად გადაწყვეტას უზრუნველყოფს საჯარო მმართველობის სისტემის დეცენტრალიზაცია, დემოკრატიზაცია და ადგილობრივი თვითმმართველობის ეფექტიანი სისტემის ჩამოყალიბება.

ადგილობრივ ხელისუფლებას მოქალაქესთან ყველაზე ახლოს მყოფ ხელისუფლებასაც უწოდებენ.

კონსტიტუციის მიხედვით, საქართველოს მოქალაქეები ადგილობრივი მნიშვნელობის საქმეებს აწესრიგებენ ადგილობრივი თვითმმართველობის წარმომადგენლობითი და აღმასრულებელი ორგანოების მეშვეობით.

წარმომადგენლობითი ორგანო აირჩევა საყოველთაო, თანასწორი და პირდაპირი საარჩევნო უფლების საფუძველზე ფარული კენჭისყრით.

ბუნებრივია, პოლიტიკური თანამდებობის პირს ადგილობრივი თვითმმართველობის საკითხებში პოლიტიკის შემუშავებასა და გატარებაში საკმაოდ მნიშვნელოვანი როლი მიუძღვის.

1.5. მუნიციპალიტეტის მმართველობითი სტრუქტურა

მუნიციპალიტეტის მმართველობას ახორციელებენ მუნიციპალიტეტში მცხოვრები მოქალაქეები არაპირდაპირი დემოკრატიის - არჩევნების გზით.

ადგილობრივ თვითმმართველობაში შექმნილია აღმასრულებელი ორგანო - მერია, რომელიც ახორცილებს წარმომადგენლობითი ორგანოს - საკრებულოს გადაწყვეტილებებს და ანგარიშვალდებულია მათ წინაშე.

საკრებულო არის კოლეგიური, წარმომადგენლობითი ორგანო, რომელიც ადგილობრივი თვითმმართველობის ტერიტორიაზე განსახორციელებელ პოლიტიკას ადგენს.

ადგილობრივი თვითმმართველობის როლის მნიშვნელობიდან გამომდინარე, საქართველოს კონსტიტუცია ასევე ითვალისწინებს თვითმმართველი ერთეულების წარმომადგენლობითი ორგანოების დათხოვნის მექანიზმს.

თუმცა აღნიშნული მექანიზმი შეიძლება გამოყენებულ იქნეს მხოლოდ მაშინ, თუ წარმომადგენლობითი ორგანოს მოქმედებით საფრთხე შეექმნა ქვეყნის სუვერენიტეტს, ტერიტორიულ მთლიანობას, სახელმწიფო ხელისუფლების ორგანოთა კონსტიტუციური უფლებამოსილებების განხორციელებას. კონსტიტუცია განსაზღვრავს წესს, რომლის მიხედვითაც ხელისუფლების რამდენიმე შტო მონაწილეობს თვითმმართველი ერთეულების წარმომადგენლობითი ორგანოების დათხოვნაში. კერძოდ, საქართველოს პრეზიდენტი საქართველოს მთავრობის წარდგინებით და საქართველოს პარლამენტის თანხმობით გამოსცემს ბრძანებულებას საკრებულოს დათხოვნის ან მისი საქმიანობის შეჩერების შესახებ.[3]

1.6. დეცენტრალიზაციის ახალი პოლიტიკა და მისი გავლენა პოლიტიკური თანამდებობის პირზე, დაგეგმილი რეფორმები და ამოცანები

საქართველოში მიმდინარე დეცენტრალიზაციას ორი - გარე და შიდა ფაქტორი განაპირობებს. გარე ფაქტორს წარმოადგენს „საქართველო-ევროკავშირის ასოცირების შესახებ შეთანხმება“, რომელსაც ხელი მოეწერა საქართველოს მთავრობის მიერ 2014 წლის ივნისში და მალევე რატიფიცირებულ იქნა საქართველოს პარლამენტის მიერ. იგი მიზნად ისახავს საქართველოსა და ევროკავშირს შორის პოლიტიკური და ეკონომიკური ურთიერთობების

3. საკრებულოს დათხოვნა ან მისი საქმიანობის შეჩერება ხდება საქართველოს კონსტიტუციის 52-ე მუხლის პირველი პუნქტის „თ“ ქვეპუნქტით გათვალისწინებულ შემთხვევებში და საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსის“ 141-ე მუხლით მიხედვით, თუ მუნიციპალიტეტის წარმომადგენლობითი ორგანოს მოქმედებით საფრთხე შეექმნა ქვეყნის სუვერენიტეტს, ტერიტორიულ მთლიანობას, სახელმწიფო ხელისუფლების ორგანოთა კონსტიტუციური უფლებამოსილებების განხორციელებას.

გაღრმავებას. ამ მიზნით, ქვეყანაში დაიგეგმა რიგი მნიშვნელოვანი რეფორმებისა. 2015 წლის შემდეგ საჯარო მმართველობის რეფორმა ხორციელდება ყოველწლიური სამოქმედო გეგმებისა და შესაბამისი აქტივობების მიხედვით. საქართველოში საჯარო მმართველობის რეფორმა 6 ძირითად მიმართულებად იგეგმება. ერთ-ერთი ცენტრალური ამ ექვსს შორის არის დეცენტრალიზაცია, რომლის თანმდევი პროცესია ადგილობრივი თვითმმართველობის მხარდაჭერა და გაძლიერება. იმის გათვალისწინებით, რომ საქართველოს გააჩნია ევროატლანტიკური მისწრაფება, აუცილებელია საჯარო მმართველობის განხორციელება ევროპულ ღირებულებებზე დაფუძნებით მიმდინარეობდეს როგორც ხელისუფლების ცენტრალურ ორგანოებში, ასევე ადგილობრივი თვითმმართველობის დონეზე. ევროპული სტანდარტი და დასავლური მისწრაფებები მოითხოვს მოქალაქეს ერთიანი სტანდარტით მიეწოდოს საჯარო სერვისი და შესაბამისად, მმართველობითი კულტურა დაეფუძნოს დემოკრატიულ, კეთილსინდისიერ, გამჭვირვალე, ანგარიშვალდებულ და ეფექტიან სისტემას.

ხოლო გადამწყვეტ შიდა ფაქტორად განიხილება 2017 წელს საქართველოს პარლამენტის მიერ ადგილობრივი თვითმმართველობის განხორციელების ახალი, დამატებითი კონსტიტუციური გარანტიების შექმნა. კერძოდ, კონსტიტუციით აღიარებულ იქნა, რომ სახელმწიფო ხელისუფლებისა და თვითმმართველი ერთეულის უფლებამოსილებათა გამიჯვნა დაეფუძნება **სუბსიდიარობის** პრინციპს, რის თანახმადაც სახელმწიფო იღებს ვალდებულებას უზრუნველყოს ფინანსური სახსრების შესაბამისობა თვითმმართველი ერთეულის ორგანული კანონით დადგენილ უფლებამოსილებებთან. ასევე აღიარებულ იქნა, რომ თვითმმართველი ერთეულის საკუთარი უფლებამოსილებები უნდა იყოს ექსკლუზიური და სრული. საქართველოს კონსტიტუციით მოცემული ეს დამატებითი გარანტიები ქმნის უმთავრეს სამართლებრივ საფუძველს დეცენტრალიზაციის პროცესის შემდგომი გაღრმავებისა და ევროპული სტანდარტების შესაბამისი - ძლიერი ადგილობრივი თვითმმართველობის შესაქმნელად.

გარდა ამისა, მნიშვნელოვანი სიახლეა, რომ თვითმმართველ ერთეულს მიენიჭა უფლება, თავისი ინიციატივით მიიღოს გადაწყვეტილება ყველა იმ საკითხზე, რომელიც კანონით არ მიეკუთვნება სახელმწიფო ხელისუფლების ან ავტონომიური რესპუბლიკის განსაკუთრებულ უფლებამოსილებას და რომელზე გადაწყვეტილების მიღებაც კანონით არ გამოირიცხება თვითმმართველი ერთეულის უფლებამოსილებიდან. ეს მნიშვნელოვანი მონაპოვარია დეცენტრალიზაციის გზაზე და მოითხოვს მუნიციპალიტეტის ორგანოების (დაწესებულებების) ადამიანური რესურსის პროფესიონალიზმის ამაღლებას ამ საპასუხისმგებლო უფლებამოსილების განსახორციელებლად.

საკონსტიტუციო რეფორმით ადგილობრივი თვითმმართველობისათვის მაღალი სტანდარტების დაწესების საპასუხოდ და დეცენტრალიზაციის რეფორმის თანმიმდევრულად განსახორციელებლად საქართველოს მთავრობის მიერ შემუშავდა დეცენტრალიზაციის სტრატეგია 2020-2025.

სტრატეგიის დოკუმენტის შესაბამისად, 2020-2025 წლების პერიოდში დეცენტრალიზაციის ძირითადი პრიორიტეტები და ამოცანებია:

1) ადგილობრივი თვითმმართველობის უფლებამოსილებების გაზრდა;

ამოცანები:

1.1. თვითმმართველი ერთეულების მიერ კანონით მინიჭებული უფლებამოსილების სრულყოფილი განხორციელების უზრუნველყოფა;

1.2. სუბსიდიარობის პრინციპზე დაყრდნობით ადგილობრივი თვითმმართველობის უფლებამოსილებათა გაზრდა;

2) ადგილობრივი თვითმმართველობის მატერიალური და ფინანსური გაძლიერება;

ამოცანები:

2.1 ადგილობრივი თვითმმართველობის საკუთარი შემოსულობების თანმიმდევრული ზრდის ხელშეწყობა;

2.2. სახელმწიფო რესურსების განაწილების მექანიზმების გაუმჯობესება.

3) სანდო, ანგარიშვალდებული, გამჭვირვალე და შედეგზე ორიენტირებული ადგილობრივი თვითმმართველობის ჩამოყალიბება.

ამოცანები:

3.1 ადგილობრივ დონეზე მართვისა და ხარისხიანი მომსახურების მიწოდების ეფექტიანი და ინოვაციური სისტემების დანერგვა;

3.2. გამჭვირვალობისა და ანგარიშვალდებულების მაღალი სტანდარტის დანერგვა;

3.3. ადგილობრივი თვითმმართველობის მიერ გადაწყვეტილებების მიღებისა და განხორციელების პროცესში მაღალი ხარისხის ჩართულობის ხელშეწყობა;

3.4. ადგილობრივი განვითარების დაგეგმვის და კოორდინაციის სისტემის შექმნა.

2. ადგილობრივი თვითმმართველობის პოლიტიკური თანამდებობის პირი და მისი საქმიანობის ფარგლები ადგილობრივი თვითმმართველობის პოლიტიკის განხორციელების დროს

2.1. პოლიტიკურ თანამდებობებზე განწესება

მუნიციპალიტეტები ერთიანდებიან 9 მხარეში, რომლებიც არ წარმოადგენენ ადგილობრივი თვითმმართველობის ერთეულებს. მათ მხოლოდ საკოორდინაციო და საკონსულტაციო ფუნქცია გააჩნიათ თვითმმართველობის ერთეულებსა და მთავრობას შორის. მთავრობას წარმოადგენს სახელმწიფო რწმუნებული, ხოლო თვითმმართველ ერთეულს – მერი, საკრებულოს თავმჯდომარე და მისი მოადგილე.

თვითმმართველი ერთეულის წარმომადგენლობითი ორგანო არის საკრებულო. საკრებულოს ის წევრები, რომელთაც საკრებულოში შესაბამისი თანამდებობა უჭირავთ, ითვლებიან პოლიტიკური თანამდებობის პირებად.

ა) სახელმწიფო რწმუნებული და მისი მოადგილე

საქართველოს ადმინისტრაციულ-ტერიტორიულ ერთეულებში აღმასრულებელი ხელისუფლების წარმომადგენლობას უზრუნველყოფს სახელმწიფო რწმუნებული. სახელმწიფო რწმუნებულს თანამდებობაზე ნიშნავს და თანამდებობიდან ათავისუფლებს მთავრობა.

ბ) მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარის არჩევისა და თანამდებობიდან გადაყენების წესი

ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი ადგენს მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარის არჩევის წესს. მას თავისი შემადგენლობიდან, მუნიციპალიტეტის საკრებულოს უფლებამოსილების ვადით, სიითი შემადგენლობის ნახევარზე მეტით ირჩევს მუნიციპალიტეტის საკრებულო.

კოდექსი ადგენს, რომ მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარის კანდიდატურის დასახელების უფლება აქვს მუნიციპალიტეტის საკრებულოს არანაკლებ 3 წევრს. კანდიდატების წარდგენის შემდეგ, საკრებულოს სხდომის თავმჯდომარე უძღვება მათი არჩევის პროცესს საკრებულოს სხდომაზე. იგი აცხადებს კანდიდატთა სიას, კანდიდატებისაგან კენჭისყრის თაობაზე თანხმობის შემდეგ, მათ რიგითობის მიხედვით წარადგენს კენჭისყრაზე.

იმ შემთხვევაში, თუ მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარის არჩევნებში მხოლოდ 1 კანდიდატი მონაწილეობდა და მან ხმების საჭირო რაოდენობა ვერ დააგროვა, იმართება ხელახალი სხდომა და კენჭისყრა.

ხოლო, იმ შემხვევაში, თუ საკრებულოს თავმჯდომარის არჩევნებში 2 კანდიდატი მონაწილეობდა და ვერცერთმა ვერ დააგროვა სიითი შემადგენლობის ნახევარზე მეტი, იმ კანდიდატს, რომელმაც ყველაზე მეტი ხმა მიიღო, ხელახლა ეყრება კენჭი. თუ მან ამ შემთხვევაშიც ვერ დააგროვა ხმების საჭირო რაოდენობა, იმართება ხელახალი არჩევნები. კენჭისყრის დროს ხმების თანაბრად გაყოფისას იმართება ხელახალი არჩევნები.

კოდექსი ადგენს ისეთ შემთხვევების რეგულირებას, როცა საკრებულოს თავმჯდომარის არჩევნებში 2-ზე მეტი კანდიდატი მონაწილეობდა და ვერცერთმა ვერ დააგროვა ხმების საჭირო რაოდენობა. ასეთ შემთხვევაში იმართება არჩევნების მეორე ტური იმ 2 კანდიდატს შორის, რომლებმაც ყველაზე მეტი ხმები მიიღეს. მეორე ტურში კენჭისყრის დროს ხმების თანაბრად გაყოფისას იმართება ხელახალი არჩევნები.

ხოლო თუ მეორე ტურში ვერცერთმა კანდიდატმა ვერ დააგროვა ხმების საჭირო რაოდენობა, იმ კანდიდატს, რომელმაც მეტი ხმა მიიღო, ხელახლა ეყრება კენჭი. თუკი მან ამ შემთხვევაშიც ვერ დააგროვა ხმების საჭირო რაოდენობა, იმართება ხელახალი არჩევნები.

თუ არჩევნების მეორე ტურში გასულმა კანდიდატმა მოხსნა თავისი კანდიდატურა, მის ნაცვლად კენჭი ეყრება მიღებული ხმების რაოდენობის მიხედვით მომდევნო კანდიდატს. კანდიდატს უფლება აქვს, ყოველი კენჭისყრის წინ მოხსნას თავისი კანდიდატურა. მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარეობის კანდიდატად ერთი და იმავე პირის წარდგენა შეიძლება ზედიზედ მხოლოდ ორჯერ.

გ) მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარის მოადგილის არჩევისა და დათხოვნის წესი

მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარის მოადგილეს სიითი შემადგენლობის ნახევარზე მეტით ირჩევს მუნიციპალიტეტის საკრებულო. მისი წარდგინება ხდება საკრებულოს თავმჯდომარის მიერ, საკრებულოს შემადგენლობიდან, და იგი აირჩევა მუნიციპალიტეტის საკრებულოს უფლებამოსილების ვადით.

მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარეს ჰყავს სამი მოადგილე, მათ შორის, პირველი მოადგილე. მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარის მოადგილეს (მათ შორის, პირველ მოადგილეს) სიითი შემადგენლობის ნახევარზე მეტით ირჩევს მუნიციპალიტეტის საკრებულო. მისი წარდგინება ხდება საკრებულოს თავმჯდომარის მიერ, საკრებულოს შემადგენლობიდან, და იგი აირჩევა მუნიციპალიტეტის საკრებულოს უფლებამოსილების ვადით.

მუნიციპალიტეტის საკრებულო უფლებამოსილია თანამდებობიდან გადააყენოს მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარის მოადგილე. გადაყენების საკითხი მუნიციპალიტეტის საკრებულოს წინაშე შეიძლება წერილობით დასვან მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარემ და მუნიციპალიტეტის საკრებულოს სიითი შემადგენლობის არანაკლებ ერთმა მეხუთედმა. მისი გადაყენების შესახებ გადაწყვეტილება მიღებულად ჩაითვლება, თუ მას მხარს დაუჭერს მუნიციპალიტეტის საკრებულოს სიითი შემადგენლობის ნახევარზე მეტი.

დ) მუნიციპალიტეტის საკრებულოს კომისიის თავმჯდომარის არჩევის და თანამდებობიდან გადაყენების წესი

მუნიციპალიტეტის საკრებულოს კომისიის თავმჯდომარეს მუნიციპალიტეტის საკრებულოს კომისიის შემადგენლობიდან, მუნიციპალიტეტის საკრებულოს უფლებამოსილების ვადით, სიითი შემადგენლობის ნახევარზე მეტით ირჩევს მუნიციპალიტეტის საკრებულო.

მუნიციპალიტეტის საკრებულოს კომისიის თავმჯდომარის კანდიდატურის დასახელების უფლება აქვთ მუნიციპალიტეტის საკრებულოს სიითი შემადგენლობის ერთ მეხუთედსა და მუნიციპალიტეტის საკრებულოს ფრაქციას.

მუნიციპალიტეტის საკრებულო უფლებამოსილია თანამდებობიდან გადააყენოს მუნიციპალიტეტის საკრებულოს კომისიის თავმჯდომარე. მუნიციპალიტეტის საკრებულოს კომისიის თავმჯდომარის თანამდებობიდან გადაყენების საკითხი მუნიციპალიტეტის საკრებულოს წინაშე შეიძლება წერილობით დასვან მუნიციპალიტეტის საკრებულოს სიითი შემადგენლობის არანაკლებ ერთმა მეხუთედმა, შესაბამისი კომისიის შემადგენლობის ნახევარზე მეტმა და მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარემ. მუნიციპალიტეტის საკრებულოს კომისიის თავმჯდომარის თანამდებობიდან გადაყენების შესახებ გადაწყვეტილება მიღებულად ჩაითვლება, თუ მას მხარს დაუჭერს მუნიციპალიტეტის საკრებულოს სიითი შემადგენლობის ნახევარზე მეტი.

ე) მუნიციპალიტეტის საკრებულოს ფრაქციის თავმჯდომარე და მისი მოადგილე

მუნიციპალიტეტის საკრებულოს ფრაქციას ხელმძღვანელობს ფრაქციის თავმჯდომარე.

მუნიციპალიტეტის საკრებულოს ფრაქციის თავმჯდომარეს ჰყავს ყოველ სამ წევრზე ერთი მოადგილე, მაგრამ არაუმეტეს შვიდისა.

ამასთან, მნიშვნელოვანია, რომ შიდა პარტიული დემოკრატიულობის პრინციპიდან გამომდინარე, კანონი არ ადგენს მუნიციპალიტეტის საკრებულოს ფრაქციის თავმჯდომარისა და ფრაქციის თავმჯდომარის მოადგილის არჩევის წესს. ის განისაზღვრება მუნიციპალიტეტის საკრებულოს ფრაქციის წესდებით.

მუნიციპალიტეტის საკრებულოს თანამდებობის პირს უფლებამოსილება ვადამდე შეუწყდება თუ:

ა) უფლებამოსილება პირადი განცხადებით მოიხსნა;
ბ) მის მიმართ კანონიერ ძალაში შევიდა საბოლოო ინსტანციის სასამართლოს გამამტყუნებელი განაჩენი ან გავიდა კანონიერ ძალაში შესული სასამართლოს გამამტყუნებელი განაჩენის ზემდგომიინსტანციის სასამართლოში გასაჩივრების ვადა;
გ) სასამართლომ უგზო-უკვლოდ დაკარგულად აღიარა, გარდაცვლილად გამოაცხადა ან მხარდაჭერის მიმღებად ცნო, თუ სასამართლოს გადაწყვეტილებით სხვა რამ არ არის განსაზღვრული;
დ) შეუწყდა საქართველოს მოქალაქეობა;
ე) არასაპატიო მიზეზით ზედიზედ 6 თვის განმავლობაში არ მონაწილეობდა მუნიციპალიტეტის საკრებულოს მუშაობაში;
ვ) დაიკავა მუნიციპალიტეტის საკრებულოს წევრის სტატუსთან შეუთავსებელი თანამდებობა;
ზ) გარდაიცვალა.

მუნიციპალიტეტის საკრებულოს თანამდებობის პირს უფლებამოსილება ვადამდე შეუწყდება „საჯარო დაწესებულებაში ინტერესთა შეუთავსებლობისა და კორუფციის შესახებ“ საქართველოს კანონით განსაზღვრული თანამდებობის პირისთვის შეუთავსებელი თანამდებობის დაკავების ან შეუთავსებელი საქმიანობის განხორციელების შემთხვევაში.

ვ) მუნიციპალიტეტის მერის, მერის მოადგილის არჩევის წესი

მერი აირჩევა 4 წლის ვადით, პირდაპირი არჩევნებით, საყოველთაო, თანასწორი საარჩევნო უფლების საფუძველზე, ფარული კენჭისყრით; მერად შეიძლება აირჩეს საარჩევნო უფლების მქონე საქართველოს მოქალაქე 25 წლის ასაკიდან, რომელსაც საქართველოში უცხოვრია 5 წელს მაინც. არჩეულად ჩაითვლება ის კანდიდატი, რომელიც არჩევნებში მონაწილეთა ხმების 50%-ზე მეტს მიიღებს.

ადგილობრივი თვითმმართველობის მნიშვნელოვან, დემოკრატიულ ინსტიტუტად შეიძ-ლება ჩაითვალოს მერისთვის უნდობლობის გამოცხადების მექანიზმი. თვით პროცედურის ინიცირების საფუძველი შეიძლება გახდეს: **პირველ** შემთხვევაში - საკრებულოს სიითი შე-მადგენლობის ნახევარზე მეტის ან **მეორე** შემთხვევაში - მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე რეგისტრირებულ ამომრჩეველთა საერთო რაოდენობის არანაკლებ 20 პროცენტის წერი-ლობითი ინიციატივა მერისთვის უნდობლობის გამოცხადების შესახებ.

თუ მერისთვის უნდობლობის გამოცხადების შესახებ ინიციატივა ამომრჩევლებს ეკუთვნით, იქმნება საინიციატივო ჯგუფი არანაკლებ 10 წევრის შემადგენლობით, რომელმაც შესაბამისი ინიციატივის თაობაზე განცხადება კონკრეტულად უნდა ჩამოაყალიბოს და წარუდგინოს მუ-ნიციპალიტეტის საკრებულოს.

საინიციატივო ჯგუფი საკრებულოს თავმჯდომარეს წარუდგენს მერისთვის უნდობლობის გამოცხადების შესახებ ინიციატივის თაობაზე განცხადებას და თანდართულ ხელმოწერებს, რომლებითაც დასტურდება, რომ ინიციატივას მხარს უჭერს მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე რეგისტრირებულ ამომრჩეველთა საერთო რაოდენობის არანაკლებ 20 პროცენტისა.

საკრებულო განიხილავს საკითხს. მერისთვის უნდობლობა გამოცხადებულად ჩაითვლება, თუ ინიციატივას მხარს დაუჭერს საკრებულოს სიითი შემადგენლობის არანაკლებ ორი მესამედისა. მერისთვის უნდობლობის გამოცხადება იწვევს მისი უფლებამოსილების შეწყვეტას.

იგივე ხმათა უმრავლესობით მიიღება გადაწყვეტილება (სიითი შემადგენლობის არანაკლებ ორი მესამედი) უნდობლობის საკითხის საკრებულოს სიითი შემადგენლობის ნახევარზე მეტის მიერ ინიცირების შემთხვევაში.

გარდა ამისა, მერის უფლებამოსილების შეწყვეტის საფუძვლებია:

ა) უფლებამოსილების ვადის ამოწურვა;
ბ) უფლებამოსილების პირადი განცხადებით მოხსნა;
გ) საბოლოო ინსტანციის სასამართლოს გამამტყუნებელი განაჩენის კანონიერ ძალაში შესვლა ან კანონიერ ძალაში შესული სასამართლოს გამამტყუნებელი განაჩენის ზემდგო-მი ინსტანციის სასამართლოში გასაჩივრების ვადის გასვლა;
დ) გარდაცვალება;
ე) სასამართლოს მიერ უგზო-უკვლოდ დაკარგულად აღიარება, გარდაცვლილად გამოცხადება ან მხარდაჭერის მიმღებად ცნობა, თუ სასამართლოს გადაწყვეტილებით სხვა რამ არ არის განსაზღვრული;
ვ) საქართველოს მოქალაქეობის შეწყვეტა;
ზ) „საჯარო დაწესებულებაში ინტერესთა შეუთავსებლობისა და კორუფციის შესახებ“ საქარ-თველოს კანონით განსაზღვრული თანამდებობის პირისთვის შეუთავსებელი თანამდე-ბობის დაკავება ან შეუთავსებელი საქმიანობის განხორციელება;
თ) მუნიციპალიტეტის საკრებულოს მიერ უნდობლობის გამოცხადება.

პოლიტიკური თანამდებობის პირების და მუნიციპალიტეტის თანამდებობის პირების განწესების და გათავისუფლების წესი

პოლიტიკური თანამდებობის პირი	არჩევის/ დანიშვნის წესი	გათავისუფლების წესი	უფლებამოსილების ვადამდე შეწყვეტის წესი
სახელმწიფო რწმუნებული	მთავრობა უფლებამოსილია დანიშნოს სახელმწიფო რწმუნებული.	მთავრობა უფლებამოსილია გაათავისუფლოს სახელმწიფო რწმუნებული	
მუნიციპალიტეტის მერი	აირჩევა 4 წლის ვადით, პირდაპირი არჩევნებით, საყოველთაო, თანასწორი საარჩევნო უფლების საფუძველზე, ფარული კენჭისყრით.	მერისთვის უნდობლობის გამოცხადება - თუ ინიციატივას მხარს დაუჭერს საკრებულოს სიითი შემადგენლობის არანაკლებ ორი მესამედისა. პროცედურის ინიციირების საფუძველია მუნიციპალიტეტის საკრებულოს სიითი შემადგენლობის ნახევარზე მეტის ან მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე რეგისტრირებულ ამომრჩეველთა საერთო რაოდენობის არანაკლებ 20 პროცენტის წერილობითი ინიციატივა მერისთვის უნდობლობის გამოცხადების შესახებ.	მერის უფლებამოსილების შეწყვეტის საფუძველია: ა) უფლებამოსილების ვადის ამოწურვა; ბ) უფლებამოსილების პირადი განცხადებით მოხსნა; გ) საბოლოო ინსტანციის სასამართლოს გამამტყუნებელი განაჩენის კანონიერ ძალაში შესვლა ან კანონიერ ძალაში შესული სასამართლოს გამამტყუნებელი განაჩენის ზემდგომი ინსტანციის სასამართლოში გასაჩივრების ვადის გასვლა; დ) გარდაცვალება; ე) სასამართლოს მიერ უგზო-უკვლოდ დაკარგულად აღიარება, გარდაცვლილად გამოცხადება ან მხარდაჭერის მიმღებად ცნობა, თუ სასამართლოს გადაწყვეტილებით სხვა რამ არ არის განსაზღვრული; ვ) საქართველოს მოქალაქეობის შეწყვეტა; ზ) „საჯარო დაწესებულებაში ინტერესთა შეუთავსებლობისა და კორუფციის შესახებ“ საქართველოს კანონით განსაზღვრული თანამდებობის პირისთვის შეუთავსებელი თანამდებობის დაკავება ან შეუთავსებელი საქმიანობის განხორციელება; თ) მუნიციპალიტეტის საკრებულოს მიერ უნდობლობის გამოცხადება.; ი) ადგილობირივი თვითმმართველობის კოდექსის მე-18 თავით გათვალისწინებული შემთხვევები.

პოლიტიკური თანამდებობის პირი	არჩევის/ დანიშვნის წესი	გათავისუფლების წესი	უფლებამოსილების ვადამდე შეწყვეტის წესი
მუნიციპალიტეტის მერის მოადგილე	თანამდებობაზე ნიშნავს მერი.	თანამდებობიდან ათავისუფლებს მერი.	
	თბილისის მერის პირველ მოადგილეს (ვიცე-მერს) და მოადგილეებს თბილისის საკრებულოს თანხმობით (სრული შემადგენლობის ერთი მესამედის მხარ--დაჭერით) თანამდებობებზე ნიშნავს თბილისის მერი.	თბილისის მერის პირველი მოადგილის (ვიცე-მერის) და მოადგილეების თანამდებობებიდან განთავისუფლების საკითხს წყვეტს თბილისის მერი.	
მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარე	მუნიციპალიტეტი საკრებულოს უფლებამოსილების ვადით, სიითი შემადგენლობის ნახევარზე მეტით ირჩევს მუნიციპალიტეტის საკრებულო.	მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარის თანამდებობიდან გადაყენების საკითხი მუნიციპალიტეტის საკრებულოს წინაშე შეიძლება წერილობით დასვას მუნიციპალიტეტის საკრებულოს სრული შემადგენლობის არანაკლებ ერთმა მესამედმა. მისი გადაყენების შესახებ გადაწყვეტილება მიღებულად ჩაითვლება, თუ მას მხარს დაუჭერს მუნიციპალიტეტის საკრებულოს სიითი შემადგენლობის ნახევარზე მეტი.	უფლებამოსილება ვადამდე შეუწყდება, თუ: ა) უფლებამოსილება პირადი განცხადებით მოიხსნა; ბ) მის მიმართ კანონიერ ძალაში შევიდა საბოლოო ინსტანციის სასამართლოს გამამტყუნებელი განაჩენი ან გავიდა კანონიერ ძალაში შესული სასამართლოს გამამტყუნებელი განაჩენის ზემდგომი ინსტანციის სასამართლოში გასაჩივრების ვადა; გ) სასამართლომ უგზო-უკვლოდ დაკარგულად აღიარა, გარდაცვლილად გამოაცხადა ან მხარდაჭერის მიმღებად ცნო, თუ სასამართლოს გადაწყვეტილებით სხვა რამ არ არის განსაზღვრული; დ) შეუწყდა საქართველოს მოქალაქეობა; ე) არასაპატიო მიზეზით ზედიზედ 6 თვის განმავლობაში არ მონაწილეობდა მუნიციპალიტეტის საკრებულოს მუშაობაში; ვ) დაიკავა მის სტატუსთან შეუთავსებელი თანამდებობა; ზ) გარდაიცვალა. მუნიციპალიტეტის საკრებულოს თანამდებობის პირს უფლებამოსილება ვადამდე შეუწყდება „საჯარო დაწესებულებაში ინტერესთა შეუთავსებლობისა და კორუფციის შესახებ“ საქართველოს კანონით განსაზღვრული თანამდებობის პირისთვის შეუთავსებელი თანამდებობის დაკავების ან შეუთავსებელი საქმიანობის განხორციელების შემთხვევაში.

(გაგძელება)

პოლიტიკური თანამდებობის პირი	არჩევის/ დანიშვნის წესი	გათავისუფლების წესი	უფლებამოსილების ვადამდე შეწყვეტის წესი
მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარის მოადგილე	მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარის მოადგილეს სიითი შემადგენლობის ნახევარზე მეტით ირჩევს მუნიციპალიტეტის საკრებულო. მისი წარდგინება ხდება საკრებულოს თავმჯდომარის მიერ, საკრებულოს შემადგენლობიდან, და იგი აირჩევა მუნიციპალიტეტის საკრებულოს უფლებამოსილების ვადით.	მუნიციპალიტეტის საკრებულო უფლებამოსილია თანამდებობიდან გადააყენოს მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარის მოადგილე. გადაყენების საკითხი მუნიციპალიტეტის საკრებულოს წინაშე შეიძლება წერილობით დასვან მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარემ და მუნიციპალიტეტის საკრებულოს სიითი შემადგენლობის არანაკლებ ერთმა მეხუთედმა. მისი გადაყენების შესახებ გადაწყვეტილება მიღებულად ჩაითვლება, თუ მას მხარს დაუჭერს მუნიციპალიტეტის საკრებულოს სიითი შემადგენლობის ნახევარზე მეტი.	
საკრებულოს კომისიის თავმჯდომარე	მუნიციპალიტეტის საკრებულოს კომისიის თავმჯდომარეს მუნიციპალიტეტის საკრებულოს კომისიის შემადგენლობიდან, მუნიციპალიტეტის საკრებულოს უფლებამოსილების ვადით, სიითი შემადგენლობის ნახევარზე მეტით ირჩევს მუნიციპალიტეტის საკრებულო.	თანამდებობიდან გადაყენების საკითხი მუნიციპალიტეტის საკრებულოს წინაშე შეიძლება წერილობით დასვან მუნიციპალიტეტის საკრებულოს სიითი შემადგენლობის არანაკლებ ერთმა მეხუთედმა, შესაბამისი კომისიის შემადგენლობის ნახევარზე მეტმა და მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარემ. გადაწყვეტილება მიღებულად ითვლება, თუ მას მხარს დაუჭერს მუნიციპალიტეტის საკრებულოს სიითი შემადგენლობის ნახევარზე მეტი.	

2.2. პოლიტიკური თანამდებობის პირების საქმიანობის შინაარსი

ა) სახელმწიფო რწმუნებული და მისი მოადგილე

ადმინისტრაციულ-ტერიტორიული ერთეულების ტერიტორიაზე მთავრობის წარმომადგენლობის უზრუნველსაყოფად მთავრობა უფლებამოსილია დანიშნოს სახელმწიფო რწმუნებულები. რწმუნებული არის მთავრობის წარმომადგენელი შესაბამის ადმინისტრაციულ-ტერიტორიული ერთეულების ტერიტორიაზე. სახელმწიფო რწმუნებულს თანამდებობაზე ნიშნავს და თანამდებობიდან ათავისუფლებს მთავრობა.

სახელმწიფო რწმუნებულის ფუნქციებია მთავრობის დავალების შემთხვევაში კოორდინაცია გაუწიოს საქართველოს სამინისტროების ტერიტორიულ ორგანოთა საქმიანობას შესაბამის ტერიტორიაზე, მთავრობის დავალებით კოორდინაცია გაუწიოს ადგილობრივი თვითმმართველობის რეფორმის ცალკეული ღონისძიებების განხორციელებას.

სახელმწიფო რწმუნებული უფლებამოსილია სათათბირო ხმის უფლებით მონაწილეობა მიიღოს მთავრობის სხდომებში.

ბ) მუნიციპალიტეტის საკრებულოს თანამდებობის პირების საქმიანობა

მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარე

1. მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარე:

ა) იწვევს, ხსნის, თავმჯდომარეობს, წარმართავს და მუნიციპალიტეტის საკრებულოს გადაწყვეტილების საფუძველზე დახურულად აცხადებს მუნიციპალიტეტის საკრებულოს სხდომას;

ბ) მუნიციპალიტეტის საკრებულოს სხდომის მიმდინარეობისას უზრუნველყოფს მუნიციპალიტეტის საკრებულოს სხდომათა დარბაზში წესრიგის დაცვას;

გ) უზრუნველყოფს საქართველოს კანონმდებლობითა და მუნიციპალიტეტის საკრებულოს რეგლამენტით დადგენილი პროცედურების დაცვას;

დ) ადგენს მუნიციპალიტეტის საკრებულოს სხდომის დღის წესრიგის პროექტს, განსახილველ საკითხზე გამოსვლის მსურველთა სიას, მუნიციპალიტეტის საკრებულოს რეგლამენტით დადგენილი წესით განსაზღვრავს გამომსვლელთა რიგითობას და აძლევს მათ სიტყვას;

ე) სვამს საკითხს კენჭისყრაზე და აცხადებს კენჭისყრის შედეგებს;

ვ) კოორდინაციას უწევს მუნიციპალიტეტის საკრებულოს კომისიების მუშაობას;

ზ) წარმოადგენს მუნიციპალიტეტის საკრებულოს მისთვის მინიჭებული უფლებამოსილების ფარგლებში;

თ) მუნიციპალიტეტის საკრებულოს კომისიების თავმჯდომარეების წარდგინებით მუნიციპალიტეტის საკრებულოს კომისიებში იწვევს ექსპერტებსა და სპეციალისტებს; მათთან დებს და აუქმებს ხელშეკრულებებს;

ი) ხელს აწერს მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილებებს, განკარგულებებსა და სხდომების ოქმებს;

კ) თანამდებობაზე ნიშნავს და თანამდებობიდან ათავისუფლებს მუნიციპალიტეტის საკრებულოს აპარატის მოსამსახურეებს;
ლ) მუნიციპალიტეტის საკრებულოს რეგლამენტით დადგენილი წესით მუნიციპალიტეტის საკრებულოს წარუდგენს გაწეული მუშაობის შესახებ ანგარიშს;
მ) მუნიციპალიტეტის საკრებულოს დასამტკიცებლად წარუდგენს მუნიციპალიტეტის საკრებულოს რეგლამენტს, მუნიციპალიტეტის საკრებულოს კომისიის დებულებას და მუნიციპალიტეტის საკრებულოს აპარატის დებულებას;
ნ) ამტკიცებს მუნიციპალიტეტის საკრებულოს აპარატის შინაგანაწესს და თანამდებობრივ ინსტრუქციებს, აგრეთვე მუნიციპალიტეტის საკრებულოს აპარატის მოხელეთა დამატებით საკვალიფიკაციო მოთხოვნებს;
ო) „საჯარო სამსახურის შესახებ“ საქართველოს კანონით დადგენილი წესით იღებს გადაწყვეტილებებს მუნიციპალიტეტის საკრებულოს აპარატის მოხელეთა წახალისებისა და საჯარო მოსამსახურეთათვის დისციპლინური პასუხისმგებლობის ზომების შეფარდების შესახებ;
პ) საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად იღებს გადაწყვეტილებას მუნიციპალიტეტის საკრებულოში პირის ლობისტად რეგისტრაციის შესახებ;
ჟ) ახორციელებს ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსით, საქართველოს სხვა საკანონმდებლო და კანონქვემდებარე ნორმატიული აქტებითა და მუნიციპალიტეტის საკრებულოს რეგლამენტით მისთვის მინიჭებულ სხვა უფლებამოსილებებს.
მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარე ანგარიშვალდებულია მუნიციპალიტეტის საკრებულოს წინაშე.

მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარის მოადგილე

მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარის მოადგილე მუნიციპალიტეტის საკრებულოს რეგლამენტით დადგენილი წესით ასრულებს მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარის მოვალეობას მის მიერ უფლებამოსილების განხორციელების შეუძლებლობის, მისი თანამდებობიდან გადადგომის ან გადაყენების, მისთვის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარის უფლებამოსილების შეჩერების ან შეწყვეტის შემთხვევაში.

გ) მუნიციპალიტეტის საკრებულოს კომისიის თავმჯდომარე და მისი მოადგილე

მუნიციპალიტეტის საკრებულოს კომისიის თავმჯდომარე:

- იწვევს, ხსნის, თავმჯდომარეობს და წარმართავს კომისიის სხდომებს;
- უზრუნველყოფს საქართველოს კანონმდებლობით, მუნიციპალიტეტის საკრებულოს რეგლამენტითა და მუნიციპალიტეტის კომისიის დებულებით დადგენილი პროცედურების დაცვას;
- ადგენს კომისიის სხდომის დღის წესრიგის პროექტს, განსახილველ საკითხზე გამოსვლის მსურველთა სიას, მუნიციპალიტეტის საკრებულოს რეგლამენტითა და მუნიციპალიტეტის საკრებულოს კომისიის დებულებით დადგენილი წესით განსაზღვრავს გამომსვლელთა რიგითობას და აძლევს მათ სიტყვას;

- სვამს საკითხს კენჭისყრაზე და აცხადებს კენჭისყრის შედეგებს;
- ხელს აწერს კომისიის სხდომების ოქმებს;
- მოქმედებს კომისიის სახელით;
- ანგარიშვალდებულია მუნიციპალიტეტის საკრებულოს წინაშე;
- ახორციელებს საქართველოს კანონმდებლობით, მუნიციპალიტეტის საკრებულოს რეგლამენტითა და მუნიციპალიტეტის საკრებულოს კომისიის დებულებით მისთვის მინიჭებულ სხვა უფლებამოსილებებს.

საკრებულოს კომისიის თავმჯდომარის მიერ უფლებამოსილების განხორციელების შეუძლებლობის შემთხვევაში, თავმჯდომარის მოვალეობას ასრულებს მისი მოადგილე.

მუნიციპალიტეტის საკრებულოს ფრაქციის თავმჯდომარე და მისი მოადგილე

საკრებულოს ფრაქციის თავმჯდომარე ხელმძღვანელობს ფრაქციის საქმიანობას, წარმოადგენს ფრაქციას საკრებულოში და მის გარეთ, წარმართავს ფრაქციის სხდომებს და ახორციელებს რეგლამენტითა და ფრაქციის წესდებით განსაზღვრულ სხვა უფლებამოსილებებს.

ფრაქციის თავმჯდომარის გადადგომის, გადაყენების, მის მიერ უფლებამოსილების განხორციელების შეუძლებლობის შემთხვევაში, ფრაქციის გადაწყვეტილებით, ფრაქციის თავმჯდომარის მოვალეობას ასრულებს მისი ერთ-ერთი მოადგილე ან მდივანი.

მუნიციპალიტეტის მერი, მერის მოადგილე

მუნიციპალიტეტის აღმასრულებელი ორგანო და მუნიციპალიტეტის უმაღლესი თანამდებობის პირი არის მერი. მერი წარმოადგენს მუნიციპალიტეტს, უზრუნველყოფს მუნიციპალიტეტის უფლებამოსილებების განხორციელებასა და მუნიციპალიტეტის წარმომადგენლობითი ორგანოს გადაწყვეტილებების აღსრულებას.

იგი ანგარიშვალდებულია მუნიციპალიტეტის საკრებულოს და მოსახლეობის წინაშე.

მერის უფლებამოსილების შეჩერების ან შეწყვეტის შემთხვევაში, მის მოვალეობას მერის უფლებამოსილების აღდგენამდე ან ახალი მერის არჩევამდე ასრულებს მერის პირველი მოადგილე, თუ მერის პირველი მოადგილე თანამდებობაზე დანიშნული არ არის – მერის მოადგილე, ხოლო თუ მერს ორი ან ორზე მეტი მოადგილე ჰყავს – მერის უხუცესი მოადგილე.

მუნიციპალიტეტის მერი:

ა) მერიის ორგანიზაციული საქმიანობის სფეროში:

ა.ა) საერთო ხელმძღვანელობასა და კოორდინაციას უწევს მერიის სტრუქტურული ერთეულების საქმიანობას;

ა.ბ) მუნიციპალიტეტის საკრებულოს დასამტკიცებლად წარუდგენს მერიის დებულებასა და საშტატო ნუსხას, აგრეთვე მერიის სტრუქტურული ერთეულების დებულებებს;

ა.გ) თანამდებობაზე ნიშნავს და თანამდებობიდან ათავისუფლებს მერიის თანამდებობის პირებს;

ა.დ) თანამდებობაზე ნიშნავს და თანამდებობიდან ათავისუფლებს მერიის მოსამსახურეებს;

ა.ე) უნაწილებს ფუნქციებს მერიის მოსამსახურეებს, დავალებებს აძლევს მერიის თანამდებობის პირებს და ისმენს მათ ანგარიშებს გაწეული მუშაობის შესახებ;

ა.ვ) მერიის დებულებით დადგენილი წესით ახდენს მერიის თანამდებობის პირებისთვის უფლებამოსილებების დელეგირებას, ახდენს მერიის თანამდებობის პირებისთვის, სხვა მოხელეებისთვის ან ადმინისტრაციული ხელშეკრულებით დასაქმებული პირებისთვის უფლებამოსილების დელეგირებას კანონით/უფლებამოსილების დელეგირების შესახებ ხელშეკრულებით გათვალისწინებულ შემთხვევაში;

ა.ზ) „საჯარო სამსახურის შესახებ“ საქართველოს კანონით დადგენილი წესით იღებს გადაწყვეტილებებს მერიის მოხელეთა წახალისებისა და საჯარო მოსამსახურეთათვის დისციპლინური პასუხისმგებლობის ზომების შეფარდების შესახებ;

ა.თ) ამტკიცებს მერიის შინაგანაწესს და თანამდებობრივ ინსტრუქციებს, აგრეთვე მერიის მოხელეთა დამატებით საკვალიფიკაციო მოთხოვნებს;

ბ) მუნიციპალიტეტის საკრებულოსთან ურთიერთობის სფეროში:
ბ.ა) საკრებულოს წელიწადში ერთხელ მაინც, მუნიციპალიტეტის საკრებულოს რეგლამენტით დადგენილი წესით წარუდგენს ანგარიშს გაწეული მუშაობის შესახებ, აგრეთვე საკრებულოს წევრთა არანაკლებ ერთი მეოთხედის მოთხოვნით მუნიციპალიტეტის საკრებულოს წარუდგენს რიგგარეშე ანგარიშს;

ბ.ბ) ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსის შესაბამისად შეიმუშავებს და მუნიციპალიტეტის საკრებულოს მისაღებად წარუდგენს ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტების პროექტებს;

ბ.გ) მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარეს მიმართავს საკრებულოს რიგგარეშე სხდომის მოწვევის შესახებ წინადადებით, საკრებულოს მორიგ სხდომაზე შეაქვს დამატებით განსახილველი საკითხი, უფლებამოსილია დაესწროს საკრებულოს და საკრებულოს კომისიების ღია და დახურულ სხდომებს;

ბ.დ) უზრუნველყოფს საკრებულოს მიერ მიღებული ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტების აღსრულებას;

ბ.ე) მუნიციპალიტეტის საკრებულოს დასამტკიცებლად წარუდგენს მულტიმუნიციპალური სივრცის დაგეგმარების გეგმის შემმუშავებელი ერთობლივი საბჭოს შემადგენლობასა და დებულების პროექტს;

გ) საფინანსო-საბიუჯეტო სფეროში:
გ.ა) შეიმუშავებს და მუნიციპალიტეტის საკრებულოს დასამტკიცებლად წარუდგენს მუნიციპალიტეტის ბიუჯეტისა და ბიუჯეტში შესატანი ცვლილების პროექტებს; უზრუნველყოფს

დამტკიცებული ბიუჯეტის შესრულებას თავისი უფლებამოსილების ფარგლებში;

გ.ბ) მუნიციპალიტეტის საკრებულოს დასამტკიცებლად წარუდგენს საანგარიშო წლის ბიუჯეტის შესრულების ანგარიშს;

გ.გ) საქართველოს საბიუჯეტო კოდექსის შესაბამისად, მუნიციპალიტეტის საკრებულოს მიერ დადგენილი წესით, მუნიციპალიტეტის დამტკიცებულ ბიუჯეტში ცვლილების შეუტანლად იღებს გადაწყვეტილებას მხარჯავი დაწესებულების საბიუჯეტო კლასიფიკაციის მუხლებსა და კოდებს შორის

თანხების გადანაწილების შესახებ;

გ.დ) მუნიციპალიტეტის საკრებულოს დასამტკიცებლად წარუდგენს კანონით განსაზღვრული ადგილობრივი გადასახადებისა და მოსაკრებლების შემოღების, ცვლილებისა და გაუქმების შესახებ დადგენილებების პროექტებს;

გ.ე) მუნიციპალიტეტის სახელითა და მუნიციპალიტეტის საკრებულოს თანხმობით იღებს სესხს ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსისა და საქართველოს სხვა საკანონმდებლო აქტებით დადგენილი წესით;

გ.ვ) არაუგვიანეს თებერვლისა, მუნიციპალიტეტის საკრებულოს უგზავნის შესყიდვების გეგმის შესაბამისად წინა წელს განხორციელებული შესყიდვების შესახებ ანგარიშს; ახორციელებს შესყიდვებს საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით;

დ) მუნიციპალიტეტის ქონების მართვისა და განკარგვის სფეროში:

დ.ა) ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსითა და მუნიციპალიტეტის საკრებულოს მიერ დადგენილი წესით იღებს გადაწყვეტილებას მუნიციპალიტეტის ქონების მართვისა და განკარგვის შესახებ;

დ.ბ) მუნიციპალიტეტის საკრებულოს თანხმობით იღებს გადაწყვეტილებებს: შესაბამისი კერძო სამართლის იურიდიული პირის დაფუძნების, რეორგანიზაციისა და ლიკვიდაციის შესახებ; ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსის შესაბამისად, კერძო სამართლის იურიდიული პირის დაფუძნებაში მონაწილეობისა და მასში გაწევრების შესახებ; მეწარმე იურიდიული პირის წილის/აქციების შეძენის შესახებ;

დ.გ) ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსით გათვალისწინებულ შემთხვევებში, მუნიციპალიტეტის საკრებულოს თანხმობით იღებს გადაწყვეტილებას მუნიციპალიტეტის მოძრავი ქონების პირდაპირი განკარგვის წესით სასყიდლით ან უსასყიდლოდ სარგებლობის უფლებით, პირობით ან უპირობოდ გაცემის შესახებ;

დ.დ) მუნიციპალიტეტის საკრებულოს თანხმობით, წყვეტს უძრავი ქონების პირდაპირი განკარგვის წესით სასყიდლით ან უსასყიდლოდ სარგებლობის უფლებით, პირობით ან უპირობოდ გაცემის საკითხს;

დ.ე) მუნიციპალიტეტის საკრებულოს თანხმობით, უფლებამოსილია გადაწყვიტოს მუნიციპალიტეტის ქონების შემძენის/სარგებლობის უფლებით მიმღების/მართვის უფლებით მიმღების ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების დარღვევისთვის დაკისრებული/დასაკისრებელი პირგასამტეხლოსგან განთავისუფლების საკითხი;

დ.ვ) მუნიციპალიტეტის საკრებულოს თანხმობით, უფლებამოსილია გადაწყვიტოს პრივატიზებული ან/და სარგებლობის უფლებით გაცემული ქონების მიმღების ამ ქონებასთან დაკავშირებული პირობის (პირობების) შესრულების ვალდებულებისგან განთავისუფლების საკითხი, გარდა ფინანსური და საინვესტიციო ვალდებულებების შესრულებასთან დაკავშირებული პირობებისა;

დ.ზ) ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსის შესაბამისად, მუნიციპალიტეტის საკრებულოს თანხმობით, იღებს გადაწყვეტილებას მუნიციპალიტეტის ძირითადი (განუსხვისებელი) ქონების გასხვისების შესახებ;

დ.თ) უზრუნველყოფს მუნიციპალიტეტის ქონების მოვლა-პატრონობას, მშენებლობას, რეკონსტრუქციასა და აღდგენას;

დ.ი) მუნიციპალიტეტის საკრებულოს დასამტკიცებლად წარუდგენს მუნიციპალიტეტის ქონების საპრივატიზაციო ობიექტების ნუსხასა და პრივატიზაციის გეგმას;

დ.კ) ახორციელებს მონიტორინგს ფიზიკური და იურიდიული პირების მიერ მათთვის სარგებლობის უფლებით გადაცემული მუნიციპალიტეტის ქონების გამოყენებისა და ქონებით სარგებლობის წესების დაცვაზე;

დ.ლ) მუნიციპალიტეტის ქონების პირობებიანი აუქციონის ფორმით განკარგვის შემთხვევაში, ახორციელებს მონიტორინგს ფიზიკური და იურიდიული პირების მიერ შესაბამისი პირობების შესრულებაზე;

დ.მ) ახორციელებს „საჯარო და კერძო თანამშრომლობის შესახებ“ საქართველოს კანონით გათვალისწინებულ უფლებამოსილებებს;

ე) აღმასრულებელი საქმიანობის სხვა სფეროებში:

ე.ა) ხელს აწერს მუნიციპალიტეტის სახელით დადებულ ხელშეკრულებებსა და შეთანხმებებს;

ე.ბ) წარმოადგენს მუნიციპალიტეტს და მოქმედებს მისი სახელით ოფიციალური ურთიერთობებისას, მუნიციპალიტეტის სახელით ანიჭებს წარმომადგენლობით უფლებამოსილებებს, მათ შორის, რწმუნებებს (მინდობილობებს);

ე.გ) მუნიციპალიტეტის უფლებამოსილების ფარგლებში უზრუნველყოფს შესაბამისი სოციალურ-ეკონომიკური განვითარებისა და სხვა პროგრამების, სტრატეგიებისა და გეგმების მომზადებას, მუნიციპალიტეტის საკრებულოსთვის დასამტკიცებლად წარდგენას და განხორციელებას;

ე.დ) შეიმუშავებს და მუნიციპალიტეტის საკრებულოს დასამტკიცებლად წარუდგენს მუნიციპალიტეტის სივრცის დაგეგმარების, გენერალური და განაშენიანების გეგმების/განაშენიანების დეტალური გეგმების კონცეფციებსა და პროექტებს;

ე.ე) თავისი უფლებამოსილების ფარგლებში გამოსცემს ინდივიდუალურ ადმინისტრაციულ-სამართლებრივ აქტებს;

ე.3) მისი უფლებამოსილებისთვის მიკუთვნებული ცალკეული საკითხების შესასწავლად, შესაბამისი დასკვნებისა და რეკომენდაციების მოსამზადებლად ქმნის სათათბირო ორგანოებს, მათ შორის, საბჭოებს, კომისიებს და სამუშაო ჯგუფებს;

ე.31) კანონით გათვალისწინებულ შემთხვევაში ან/და დელეგირებული უფლებამოსილების განხორციელების (მათ შორის, შესაბამისი გადაწყვეტილების მიღების) მიზნით ქმნის კომისიებს, რომელთა უფლებამოსილება და საქმიანობის წესი განისაზღვრება კანონით/უფლებამოსილების დელეგირების შესახებ ხელშეკრულებით ან/და კანონის საფუძველზე გამოცემული კანონქვემდებარე ნორმატიული აქტით;

ე.ზ) ანიჭებს მუნიციპალიტეტის საპატიო წოდებებსა და ჯილდოებს;

ე.თ) უზრუნველყოფს ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსით გათვალისწინებული მუნიციპალიტეტის სხვა უფლებამოსილებების განხორციელებას, ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსით, საქართველოს სხვა საკანონმდებლო და კანონქვემდებარე ნორმატიული აქტებითა და მუნიციპალიტეტის საკრებულოს მიერ დადგენილი წესით;

ე.ი) ახორციელებს ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსით, მერიის დებულებითა და მუნიციპალიტეტის საკრებულოს ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტებით გათვალისწინებულ სხვა უფლებამოსილებებს.

მერი უფლებამოსილია მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციულ ერთეულში დანიშნოს მერის წარმომადგენელი.

თბილისის, როგორც დედაქალაქის, მერის და მთავრობის უფლებამოსილებებს ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი განსაკუთრებულად არეგულირებს.

თბილისის მერი:

ა) საერთო ხელმძღვანელობასა და კოორდინაციას უწევს თბილისის მერიის საქმიანობას;
ბ) უძღვება თბილისის მთავრობის საქმიანობას, უნაწილებს ფუნქციებს თავის მოადგილეებს;
გ) თავმჯდომარეობს თბილისის მთავრობის სხდომებს;
დ) შეიმუშავებს და თბილისის საკრებულოს მისაღებად წარუდგენს ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტების პროექტებს;
ე) თბილისის საკრებულოს დასამტკიცებლად წარუდგენს თბილისის ბიუჯეტის, ბიუჯეტში შესატანი ცვლილების პროექტებს და ბიუჯეტის შესრულების ანგარიშს;
ვ) ხელს აწერს თბილისის მთავრობის ინდივიდუალურ ადმინისტრაციულ-სამართლებრივ აქტებს;
ზ) მუნიციპალიტეტის უფლებამოსილების ფარგლებში უზრუნველყოფს შესაბამისი სოციალურ-ეკონომიკური განვითარებისა და სხვა პროგრამების, სტრატეგიებისა და გეგმების თბილისის საკრებულოსთვის დასამტკიცებლად წარდგენას;
თ) თბილისის საკრებულოს დასამტკიცებლად წარუდგენს მუნიციპალიტეტის სივრცის დაგეგმარების, გენერალური და განაშენიანების გეგმების/განაშენიანების დეტალური გეგმების კონცეფციებსა და პროექტებს;
ი) გამოსცემს ინდივიდუალურ ადმინისტრაციულ-სამართლებრივ აქტებს;

კ) ხელს აწერს მუნიციპალიტეტისა და თბილისის მთავრობის სახელით დადებულ ხელშეკრულებებსა და შეთანხმებებს; ახორციელებს შესყიდვებს საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით;

ლ) წარმოადგენს თბილისს და თბილისის მთავრობას, მოქმედებს მათი სახელით ოფიციალური ურთიერთობებისას, ასრულებს სხვა წარმომადგენლობით ფუნქციებს, მუნიციპალიტეტის სახელით ანიჭებს წარმომადგენლობით უფლებამოსილებებს, მათ შორის, რწმუნებებს (მინდობილობებს);

მ) თბილისის საკრებულოს დასამტკიცებლად წარუდგენს თბილისის მერიისა და მერიის სტრუქტურული ერთეულების დებულებებს, თბილისის რაიონის გამგეობისა და რაიონის გამგეობის სტრუქტურული ერთეულების ტიპურ დებულებებს, აგრეთვე თბილისის მერიისა და თბილისის რაიონის გამგეობის საშტატო ნუსხებს;

ნ) დადგენილი წესით თანამდებობაზე ნიშნავს და თანამდებობიდან ათავისუფლებს თბილისის მერიის თანამდებობის პირებს; „საჯარო სამსახურის შესახებ“ საქართველოს კანონით დადგენილი წესით თანამდებობაზე ნიშნავს და თანამდებობიდან ათავისუფლებს თბილისის მერიის სხვა საჯარო მოსამსახურეებს;

ო) თბილისის საკრებულოს დასამტკიცებლად წარუდგენს თბილისის მერიის თანამდებობის პირთა და მოსამსახურეთა თანამდებობრივი სარგოების ოდენობებს;

პ) უნაწილებს ფუნქციებს თბილისის მერიის მოსამსახურეებს; დავალებებს აძლევს თბილისის მერიის თანამდებობის პირებს და ისმენს მათ ანგარიშებს გაწეული მუშაობის შესახებ;

ჟ) თბილისის მერიის დებულებით დადგენილი წესით ახორციელებს თბილისის მერიის თანამდებობის პირებისთვის უფლებამოსილებების დელეგირებას;

რ) „საჯარო სამსახურის შესახებ“ საქართველოს კანონით დადგენილი წესით იღებს გადაწყვეტილებებს თბილისის მერიის მოხელეთა წახალისებისა და საჯარო მოსამსახურეთათვის დისციპლინური პასუხისმგებლობის ზომების შეფარდების შესახებ;

ს) ამტკიცებს თბილისის მერიის შინაგანაწესს და თანამდებობრივ ინსტრუქციებს, აგრეთვე თბილისის მერიის მოხელეთა დამატებით საკვალიფიკაციო მოთხოვნებს;

ტ) თბილისის საკრებულოს წელიწადში ერთხელ მაინც, თბილისის საკრებულოს რეგლამენტით დადგენილი წესით წარუდგენს ანგარიშს თბილისის მთავრობისა და მის მიერ გაწეული მუშაობის შესახებ, აგრეთვე თბილისის საკრებულოს წევრთა არანაკლებ ერთი მეოთხედის მოთხოვნით საკრებულოს წარუდგენს რიგგარეშე ანგარიშს;

უ) თბილისის საკრებულოს თავმჯდომარეს მიმართავს საკრებულოს რიგგარეშე სხდომის მოწვევის შესახებ წინადადებით, საკრებულოს მორიგ სხდომაზე შეაქვს დამატებით განსახილველი საკითხი, უფლებამოსილია დაესწროს საკრებულოს და საკრებულოს კომისიების ღია და დახურულ სხდომებს;

ფ) ანიჭებს მუნიციპალიტეტის საპატიო წოდებებსა და ჯილდოებს;

ქ) მისი უფლებამოსილებისათვის მიკუთვნებული ცალკეული საკითხების შესასწავლად ქმნის სათათბირო ორგანოებს – კომისიებს, საბჭოებსა და სამუშაო ჯგუფებს;

ქ[1]) კანონით გათვალისწინებულ შემთხვევაში ან/და დელეგირებული უფლებამოსილების განხორციელების (მათ შორის, შესაბამისი გადაწყვეტილების მიღების) მიზნით ქმნის კომისიებს.

ღ) ახორციელებს კანონითა და თბილისის საკრებულოს ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტებით გათვალისწინებულ სხვა უფლებამოსილებებს.

პოლიტიკური თანამდებობის პირებისა და მუნიციპალიტეტის თანამდებობის პირების საქმიანობა/უფლებამოსილებები

სახელმწიფო რწმუნებული	მუნიციპალიტეტის მერი	მუნიციპალიტეტის მერის მოადგილე	მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარე	მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარის მოადგილე	საკრებულოს კომისიის თავმჯდომარე	საკრებულოს ფრაქციის თავმჯდომარე
მთავრობის დავალებით კოორდინაციას უწევს საქართველოს სამინისტროების ტერიტორიულ ორგანოთა საქმიანობას შესაბამის ტერიტორიაზე. მთავრობის დავალებით კოორდინაციას უწევს ადგილობრივი თვითმმართველობის რეფორმის ცალკეული ღონისძიებების განხორციელებას; უფლებამოსილია სათათბირო ხმის უფლებით მონაწილეობა მიიღოს მთავრობის სხდომებში	მერის უფლებამოსილება: **ა) მერიის ორგანიზაციული საქმიანობის სფეროში:** კოორდინაციას უწევს მერიის სტრუქტურული ერთეულების საქმიანობას; საკრებულოს დასამტკიცებლად წარუდგენს მერიის დებულებასა და საშტატო ნუსხას; თანამდებობაზე ნიშნავს და ათავისუფლებს მერიის თანამდებობის პირებს და მერიის მოსამსახურეებს; უნაწილებს ფუნქციებს მერიის მოსამსახურეებს, ახდენს მერიის თანამდებობის პირებისთვის უფლებამოსილებების დელეგირებას, იღებს გადაწყვეტილებებს მერიის მოხელეთა წახალისებისა და საჯარო მოსამსახურეთათვის დისციპლინური პასუხისმგებლობის ზომების შეფარდების შესახებ; ამტკიცებს მერიის შინაგანაწესს და თანამდებობრივ ინსტრუქციებს; **ბ) მუნიციპალიტეტის საკრებულოსთან ურთიერთობის სფეროში:** საკრებულოს წელიწადში ერთხელ მაინც, წარუდგენს ანგარიშს გაწეული მუშაობის შესახებ; მისაღებად წარუდგენს ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტების პროექტებს; საკრებულოს თავმჯდომარეს მიმართავს საკრებულოს რიგგარეშე სხდომის მოწვევის შესახებ წინადადებით, სხდომაზე შეაქვს დამატებით განსახილველი საკითხები; აღასრულებს საკრებულოს მიერ მიღებული ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტებს; **გ) საფინანსო-საბიუჯეტო სფეროში:** შეიმუშავებს და მუნიციპალიტეტის საკრებულოს დასამტკიცებლად წარუდგენს მუნიციპალიტეტის ბიუჯეტისა და ბიუჯეტში შესატანი ცვლილების პროექტებს და უზრუნველყოფს ბიუჯეტის შესრულებას; და წარუდგენს საანგარიშო წლის ბიუჯეტის შესრულების ანგარიშს; იღებს გადაწყვეტილებას მხარჯავი დაწესებულების საბიუჯეტო კლასიფიკაციის მუხლებსა და კოდებს შორის თანხების გადანაწილების შესახებ; საკრებულოს დასამტკიცებლად წარუდგენს კანონით განსაზღვრული ადგილობრივი გადასახადებისა და მოსაკრებლების შემოღების, ცვლილებისა და გაუქმების შესახებ დადგენილებების პროექტებს; მუნიციპალიტეტის საკრებულოს თანხმობით იღებს სესხს; ახორციელებს შესყიდვებს საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით; **დ) მუნიციპალიტეტის ქონების მართვისა და განკარგვის სფეროში:** იღებს გადაწყვეტილებას მუნიციპალიტეტის ქონების მართვისა და განკარგვის შესახებ; საკრებულოს თანხმობით იღებს გადაწყვეტილებებს: შესაბამისი კერძო სამართლის იურიდიული პირის დაფუძნების, რეორგანიზაციისა და ლიკვიდაციის შესახებ; საკრებულოს თანხმობით იღებს გადაწყვეტილებას მუნიციპალიტეტის მოძრავი ქონების პირდაპირი განკარგვის წესით სასყიდლით ან უსასყიდლოდ სარგებლობის უფლებით, პირობით ან უპირობოდ გაცემის შესახებ; საკრებულოს თანხმობით წყვეტს უძრავი ქონების პირდაპირი განკარგვის წესით სასყიდლით ან უსასყიდლოდ სარგებლობის უფლებით, პირობით ან უპირობოდ გაცემის საკითხს; საკრებულოს თანხმობით უფლებამოსილია გადაწყვიტოს პრივატიზებული ან/და სარგებლობის უფლებით გაცემული ქონების მიმღების ამ ქონებასთან დაკავშირებული პირობის (პირობების) შესრულების ვალდებულებისგან განთავისუფლების საკითხი, უზრუნველყოფს მუნიციპალიტეტის ქონების მოვლა-პატრონობას, მშენებლობას, რეკონსტრუქციასა და აღდგენას; ახორციელებს მონიტორინგს ფიზიკური და იურიდიული პირების მიერ მათთვის სარგებლობის უფლებით გადაცემული მუნიციპალიტეტის ქონების გამოყენებისა და ქონებით სარგებლობის წესების დაცვაზე; ახორციელებს მონიტორინგს ფიზიკური და იურიდიული პირების მიერ შესაბამისი პირობების შესრულებაზე; **ე) აღმასრულებელი საქმიანობის სხვა სფეროებში:** ხელს აწერს მუნიციპალიტეტის სახელით დადებულ ხელშეკრულებებსა და შეთანხმებებს; წარმოადგენს მუნიციპალიტეტს და მოქმედებს მისი სახელით ოფიციალური ურთიერთობებისას; მუნიციპალიტეტის უფლებამოსილების ფარგლებში უზრუნველყოფს შესაბამისი სოციალურ- ეკონომიკური განვითარებისა და სხვა პროგრამების, სტრატეგიებისა და გეგმების მომზადებასა და განხორციელებას. მუნიციპალიტეტის საკრებულოს დასამტკიცებლად წარუდგენს მუნიციპალიტეტის სივრცის დაგეგმარების, გენერალური და განაშენიანების გეგმების/განაშენიანების დეტალური გეგმების კონცეფციებსა და პროექტებს; გამოსცემს ინდივიდუალურ ადმინისტრაციულ-სამართლებრივ აქტებს; ანიჭებს მუნიციპალიტეტის საპატიო წოდებებსა და ჯილდოებს; უზრუნველყოფს მუნიციპალიტეტის სხვა უფლებამოსილებების განხორციელებას დადგენილი წესით;	მერის მოადგილე ასრულებს მერის მოვალეობას მერის უფლებამოსილების შეჩერების ან შეწყვეტის შემთხვევაში, მისი უფლებამოსილების აღდგენამდე ან ახალი მერის არჩევამდე.	ა) იწვევს, ხსნის, თავმჯდომარეობს, წარმართავს და მუნიციპალიტეტის საკრებულოს გადაწყვეტილების საფუძველზე დახურულად აცხადებს მუნიციპალიტეტის საკრებულოს სხდომას; ბ) მუნიციპალიტეტის საკრებულოს სხდომის მიმდინარეობისას უზრუნველყოფს მუნიციპალიტეტის საკრებულოს სხდომათა დარბაზში წესრიგის დაცვას; გ) უზრუნველყოფს საქართველოს კანონმდებლობითა და მუნიციპალიტეტის საკრებულოს რეგლამენტით დადგენილი პროცედურების დაცვას; დ) ადგენს მუნიციპალიტეტის საკრებულოს სხდომის დღის წესრიგის პროექტს, განსახილველ საკითხზე გამოსვლის მსურველთა სიას, მუნიციპალიტეტის საკრებულოს რეგლამენტით დადგენილი წესით განსაზღვრავს გამომსვლელთა რიგითობას და აძლევს მათ სიტყვას; ე) სვამს საკითხს კენჭისყრაზე და აცხადებს კენჭისყრის შედეგებს; ვ) კოორდინაციას უწევს მუნიციპალიტეტის საკრებულოს კომისიების მუშაობას; ზ) წარმოადგენს მუნიციპალიტეტის საკრებულოს მისთვის მინიჭებული უფლებამოსილების ფარგლებში; თ) მუნიციპალიტეტის საკრებულოს კომისიების თავმჯდომარეების წარდგინებით მუნიციპალიტეტის საკრებულოს კომისიებში იწვევს ექსპერტებსა და სპეციალისტებს; მათთან დებს და აუქმებს ხელშეკრულებებს; ი) ხელს აწერს მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილებებს, განკარგულებებსა და სხდომების ოქმებს; კ) თანამდებობაზე ნიშნავს და თანამდებობიდან ათავისუფლებს მუნიციპალიტეტის საკრებულოს აპარატის მოსამსახურეებს; ლ) მუნიციპალიტეტის საკრებულოს რეგლამენტით დადგენილი წესით მუნიციპალიტეტის საკრებულოს წარუდგენს გაწეული მუშაობის შესახებ ანგარიშს; მ) მუნიციპალიტეტის საკრებულოს დასამტკიცებლად წარუდგენს მუნიციპალიტეტის საკრებულოს რეგლამენტს, მუნიციპალიტეტის საკრებულოს კომისიის დებულებას და მუნიციპალიტეტის საკრებულოს აპარატის დებულებას; ნ) ამტკიცებს მუნიციპალიტეტის საკრებულოს აპარატის შინაგანაწესს და თანამდებობრივ ინსტრუქციებს, აგრეთვე მუნიციპალიტეტის საკრებულოს აპარატის მოხელეთა დამატებით საკვალიფიკაციო მოთხოვნებს; ო) „საჯარო სამსახურის შესახებ“ საქართველოს კანონით დადგენილი წესით იღებს გადაწყვეტილებებს მუნიციპალიტეტის საკრებულოს აპარატის მოხელეთა წახალისებისა და საჯარო მოსამსახურეთათვის დისციპლინური პასუხისმგებლობის ზომების შეფარდების შესახებ; პ) საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად იღებს გადაწყვეტილებას მუნიციპალიტეტის საკრებულოში პირის ლობისტად რეგისტრაციის შესახებ; ჟ) ახორციელებს ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსით, საქართველოს სხვა საკანონმდებლო და კანონქვემდებარე ნორმატიული აქტებითა და მუნიციპალიტეტის საკრებულოს რეგლამენტით მისთვის მინიჭებულ სხვა უფლებამოსილებებს.	მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარის მოადგილე მუნიციპალიტეტის საკრებულოს რეგლამენტით დადგენილი წესით ასრულებს მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარის მოვალეობას მის მიერ უფლებამოსილების განხორციელების შეუძლებლობის, მისი თანამდებობიდან გადადგომის ან გადაყენების, მისთვის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარის უფლებამოსილების შეჩერების ან შეწყვეტის შემთხვევაში.	ა) იწვევს, ხსნის, თავმჯდომარეობს და წარმართავს კომისიის სხდომებს; ბ) უზრუნველყოფს საქართველოს კანონმდებლობით, მუნიციპალიტეტის საკრებულოს რეგლამენტითა და მუნიციპალიტეტის კომისიის დებულებით დადგენილი პროცედურების დაცვას; გ) ადგენს კომისიის სხდომის დღის წესრიგის პროექტს, განსახილველ საკითხზე გამოსვლის მსურველთა სიას, მუნიციპალიტეტის საკრებულოს რეგლამენტითა და მუნიციპალიტეტის საკრებულოს კომისიის დებულებით დადგენილი წესით განსაზღვრავს გამომსვლელთა რიგითობას და აძლევს მათ სიტყვას; დ) სვამს საკითხს კენჭისყრაზე და აცხადებს კენჭისყრის შედეგებს; ე) ხელს აწერს კომისიის სხდომების ოქმებს; ვ) მოქმედებს კომისიის სახელით; ზ)ანგარიშვალ-დებულია მუნიციპალიტეტის საკრებულოს წინაშე; თ) ახორციელებს საქართველოს კანონმდებლობით, მუნიციპალიტეტის საკრებულოს რეგლამენტითა და მუნიციპალიტეტის საკრებულოს კომისიის დებულებით მისთვის მინიჭებულ სხვა უფლებამოსილებებს.	ხელმძღვანელობს ფრაქციის საქმიანობას, წარმოადგენს ფრაქციას საკრებულოში და მის გარეთ, წარმართავს ფრაქციის სხდომებს და ახორციელებს რეგლამენტითა და ფრაქციის წესდებით განსაზღვრულ სხვა უფლებამოსილებებს.

2.3. ადგილობრივი თვითმმართველობის პოლიტიკური თანამდებობის პირთა საქმიანობა

მუნიციპალიტეტის წარმომადგენლობითი ორგანოა კოლეგიური ადმინისტრაციული ორგანო – **მუნიციპალიტეტის საკრებულო.** იგი აირჩევა მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე რეგისტრირებული საქართველოს მოქალაქეების მიერ პირდაპირი წესით, 4 წლის ვადით. არჩევნები ტარდება ფარული კენჭისყრით, საყოველთაო, თანასწორი საარჩევნო უფლების საფუძველზე.

მუნიციპალიტეტის საკრებულო გადაწყვეტილებებს იღებს ღია კენჭისყრით. ფარული კენჭისყრა იმართება მხოლოდ პირის თანამდებობაზე არჩევის, თანამდებობიდან გადაყენების და უნდობლობის გამოცხადების საკითხების გადაწყვეტისას.

მუნიციპალიტეტის უმაღლესი თანამდებობის პირი არის მერი. იგი წარმოადგენს მუნიციპალიტეტს. იგი უზრუნველყოფს მუნიციპალიტეტის უფლებამოსილებების განხორციელებას.
მერია არის მუნიციპალიტეტის აღმასრულებელი ორგანოსადმი დაქვემდებარებული დაწესებულება, რომელიც უზრუნველყოფს მერის უფლებამოსილების განხორციელებას. მერიას ხელმძღვანელობს მერი, რომელიც ანგარიშვალდებულია მუნიციპალიტეტის საკრებულოსა და მოსახლეობის წინაშე. მერი აირჩევა 4 წლის ვადით, პირდაპირი არჩევნებით, საყოველთაო, თანასწორი საარჩევნო უფლების საფუძველზე, ფარული კენჭისყრით.
მერია შედგება სტრუქტურული ერთეულებისგან.

2.4. ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოების და პოლიტიკური თანამდებობის პირების სამართლებრივი აქტები

საკრებულო სხდომაზე იღებს **სამართლებრივ აქტებს:** ნორმატიულს – საკრებულოს დადგენილებას და ინდივიდუალურს – საკრებულოს განკარგულებას. გარდა სამართლებრივი აქტებისა, საკრებულო უფლებამოსილია განიხილოს და მიიღოს არასამართლებრივი ხასიათის გადაწყვეტილებებიც: მიმართვა, განცხადება, რეკომენდაცია, ცნობა და ა.შ.

მუნიციპალიტეტის წარმომადგენლობითი ორგანოს ნორმატიული აქტი მოქმედებს და სავალდებულოა შესასრულებლად მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციულ საზღვრებში, გარდა იმ შემთხვევებისა, თუ კანონით სხვა რამ არ არის განსაზღვრული.

მერი, თავისი უფლებამოსილების ფარგლებში გამოსცემს ინდივიდუალურ ადმინისტრაციულ-სამართლებრივ აქტებს. ასევე, მერის პირველი მოადგილე/მოადგილე (მოადგილეები) ფუნქციათა განაწილების შესაბამისად გამოსცემენ ინდივიდუალურ ადმინისტრაციულ-სამართლებრივ აქტებს.

სახელმწიფო რწმუნებულის სამართლებრივი აქტია ინდივიდუალური სამართლებრივი აქტი – **სახელმწიფო რწმუნებულის განკარგულება.** მთავრობას აქვს მისი გაუქმების უფლებამოსილება.

3. მუნიციპალიტეტის ორგანოების პოლიტიკური თანამდებობის პირი, როგორც საჯარო დაწესებულებაში დასაქმებული პირი და მისი უფლებამოსილებანი

ადგილობრივი თვითმმართველობა ხორციელდება მუნიციპალიტეტის ორგანოების (დაწესებულებების) საქმიანობით. მუნიციპალიტეტის ორგანო (დაწესებულება) კონსტიტუციითა და კანონით მისთვის მინიჭებულ უფლებამოსილებებს ახორციელებს როგორც პოლიტიკური თანამდებობის პირების (მერი, მერის მოადგილე საკრებულოს წევრი), ისე საჯარო მოსამსახურეების მეშვეობით (პროფესიული საჯარო მოხელე, შრომითი და ადმინისტრაციული ხელშეკრულებით დასაქმებული პირი).

მიუხედავად იმისა, რომ დასაქმების სამართლებრივი ურთიერთობა და დასაქმებულთა სტატუსები სხვადასხვაა, მუნიციპალიტეტის ორგანოებში დასაქმებულ პირებს მაინც ერთი საერთო ნიშანი აერთიანებთ; კერძოდ, ისინი არიან საჯარო დაწესებულებაში, ადმინისტრაციულ ორგანოში დასაქმებული პირები და ახორციელებენ ადგილობრივ თვითმმართველობას.

ადგილობრივი თვითმმართველობის განხორციელება დასაქმებულთა სხვადასხვა კატეგორიის მიერ ფუნქციათა მრავალფეროვნებითა და გადაწყვეტილებების მიღების სხვადასხვა დონით არის განპირობებული. ასე მაგალითად, მერი, როგორც პოლიტიკური არჩევნების საშუალებით თანამდებობაზე განწესებული პირი, მუნიციპალური მმართველობის განხორციელებას პოლიტიკური გადაწყვეტილებებისა და პოლიტიკური დღის წესრიგის ცხოვრებაში გატარებით ახორციელებს, მაშინ როდესაც მერიის პროფესიული საჯარო მოხელე, მათ შორის მენეჯერული რანგის, ფუნქცია-მოვალეობების შესრულებისას მხოლოდ მმართველობითი გადაწყვეტილებების მიღების პროცესშია ჩართული.

ვინაიდან ადგილობრივი თვითმმართველობის განხორციელება როგორც პოლიტიკური, ასევე მმართველობითი გადაწყვეტილებების მიღებით ხორციელდება, აუცილებელია ერთმანეთისგან გაიმიჯნოს მუნიციპალიტეტის ორგანოებში (დაწესებულებებში) დასაქმებული პირების სტატუსები.

სტატუსების გამიჯვნა მათ შორის უფლება-მოვალეობების და გადაწყვეტილებების მიღების სხვადასხვა დონის და შინაარსის ურთიერთგამიჯვნისთვისაც მნიშვნელოვანია. ვინაიდან, ჩვენს ქვეყანაში მიმდინარე საჯარო მმართველობის რეფორმის სულისკვეთებაა საჯარო მმართველობისას პოლიტიკური და ადმინისტრაციული გადაწყვეტილებების გამიჯვნა და ურთიერთბალანსი, აუცილებელია მათ შორის მუნიციპალურ დონეზე ამ პრინციპის გასატარებლად დასაქმებულთა სტატუსების დიფერენცირება და განსაზღვრება.

3.1. პოლიტიკური თანამდებობის პირი და საჯარო მოსამსახურე

რას გულისხმობს დასაქმების საჯარო-სამართლებრივი ფორმა და მისი განსხვავება სამოხელეო დასაქმების სამართლებრივი ურთიერთობისაგან?

მუნიციპალიტეტის ორგანოში, ისევე როგორც ცენტრალური ხელისუფლების ნებისმიერ ორგანოში დასაქმებული პირები მათი ფუნქცია-მოვალეობებისა და თანამდებობაზე დანიშვნის (განწესების) წესის მიხედვით ორ ნაწილად შეიძლება დავყოთ. პირველი - ესაა პოლიტიკური მმართველობითი დონე და მეორე - ესაა ადმინისტრაციული მმართველობითი დონე.

პოლიტიკური მმართველობითი დონე მუნიციპალიტეტის ორგანოში (დაწესებულებაში) წარმოდგენილია მერის, მერის მოადგილისა და საკრებულოს წევრების სახით. მერი და საკრებულოს წევრი თანამდებობაზე განწესდება პოლიტიკური არჩევნების შედეგების მიხედვით.[4]

ეს თანამდებობები შინაარსობრივად ქმნის პლატფორმას პოლიტიკური ხედვების თვითმმართველობის წიაღში განხორციელებისთვის და შესაბამისად, გადაწყვეტილებების მიმღები პირები კანონით არიან აღჭურვილნი პოლიტიკური გადაწყვეტილებისა თუ პოლიტიკის გატარებიდან გამომდინარე გადაწყვეტილებების მიღების უფლებამოსილებით.

მერის, საკრებულოს წევრების და მერის მოადგილეთა თანამდებობების მიმართ საზოგადოების მოლოდინია, რომ მათი პოლიტიკური ხედვები და შეხედულებები მუნიციპალიტეტის განვითარების მიზნით იქნება გატარებული. შესაბამისად, კანონმდებლობა ანიჭებს რა მათ თანამდებობებს პოლიტიკურ ფუნქციებს, ამით ქმნის სივრცეს თვითმმართველობის განვითარების პოლიტიკური კურსის გასატარებლად.

ეს მნიშვნელოვანი დემოკრატიული მმართველობისთვის დამახასიათებელი საშუალებაა, რაც საზოგადოებას აძლევს შესაძლებლობას თვითმმართველობის დონეზე თავად გადაწყვიტოს პოლიტიკური არჩევნების გზით მუნიციპალიტეტის განვითარების ტენდენციები და უმრავლესობით შეარჩიოს განვითარების კურსი. პოლიტიკური არჩევნები კი დემოკრატიული ჩართულობის ერთ-ერთი ფორმაა, რაც საზოგადოებას მიერ თვითმმართველობის განხორციელებაში მონაწილეობის საშუალებას ქმნის.

შესაბამისად, პოლიტიკური არჩევნების გზით თანამდებობაზე განწესებული პირები (მერი, მერის მოადგილე და საკრებულოს წევრი) ცალსახად განსხვავდებიან მათი ფუნქცია-მოვალეობების მიხედვით მუნიციპალიტეტის ორგანოებში დასაქმებულ საჯარო მოსამსახუ-

4. გზამკვლევის მიზნებიდან გამომდინარე, მასში ძირითადად განხილულია შესაბამისი საკითხები ადგილობრივი თვითმმართველობის პოლიტიკური თანამდებობის პირების შესახებ და მხოლოდ საჭიროებისამებრ არის მსჯელობა სახელმწიფო რწმუნებულის შესახებ.

რეთაგან, რომლებიც სამსახურში მიიღებიან კანონით დადგენილი წესით და თანამდებობაზე განწესების წესები დისტანცირებულია პოლიტიკური შეხედულებებისა და პოლიტიკური დღის წესრიგიდან.

საჯარო მოსამსახურეთა სამი კატეგორიის (პროფესიული საჯარო მოხელე, შრომითი და ადმინისტრაციული ხელშეკრულებით დასაქმებული პირი) პირთათვის უპირატესია მათი პროფესიონალიზმი და არა პოლიტიკური ხედვები ან/და პოლიტიკური პარტიისადმი კუთვნილება. მათ მიერ ფუნქცია-მოვალეობების განხორციელება მოითხოვს მაქსიმალურ დისტანცირებას პოლიტიკური გადაწყვეტილებებისა და შეხედულებისგან და ფოკუსირებას საჯარო ინტერესსა და პროფესიული ნიშნით თვითმმართველობის უფლებამოსილებების განხორციელებაზე.

მნიშვნელოვანია აღინიშნოს, რომ როგორც პოლიტიკური თანამდებობის პირი, ასევე საჯარო მოსამსახურეც დასაქმების-სამართლებრივი ურთიერთობის შინაარსის გათვალისწინებით ფუნქცია-მოვალეობების განხორციელებისას საჯარო-სამართლებრივ ურთიერთობაში იმყოფება.

პოლიტიკური თანამდებობის პირები და საჯარო მოსამსახურეები ახორციელებენ რა ერთიანობაში ადგილობრივ თვითმმართველობას, მათი კონკრეტული, უშუალო უფლებამოსილებები განსხვავებულია, რაც გამოიხატება შემდეგში:

პოლიტიკური თანამდებობის პირი

საკუთარი ინიციატივით იღებს გადაწყვეტილებებს, რომლებიც არ წარმოადგენს უშუალოდ ხელისუფლების რომელიმე ორგანოს უფლებამოსილებას და აკრძალული არ არის კანონით

საჯარო მოსამსახურე

იბოჭება რა კანონიერების პრინციპით, იღებს გადაწყვეტილებას კანონის შესაბამისად და მხოლოდ კანონით დადგენილ ფარგლებში

პოლიტიკური თანამდებობის პირის მიერ ინიციირებული გადაწყვეტილებები, თვითმმართველობის ფუნქციონირების მიზნებისათვის, ასევე უნდა შეესაბამებოდეს კანონს და რაც მთავარია, არ უნდა მოდიოდეს წინააღმდეგობაში კონსტიტუციით აღიარებულ პრინციპებთან; ხოლო, საჯარო მოსამსახურემ კი, გადაწყვეტილებები მხოლოდ მაშინ შეიძლება მიიღოს თუ მას კანონი უშუალოდ აძლევს კონკრეტული გადაწყვეტილების მიღების უფლებამოსილებას და უდგენს გადაწყვეტილების მიღების ფარგლებს; ყოველგვარი ინიციატივა, მათ შორის კეთილი ნებით განპირობებული, საჯარო მოსამსახურის მიერ არ შეიძლება იქნეს მიღებული, ვინაიდან იგი უშუალოდ კანონის აღმასრულებელი და მისი ცხოვრებაში გამტარებელია.

პოლიტიკური თანამდებობის პირის ფუნქციები კი, სწორედ მისი თავისუფალი ნების და პოლიტიკური ხედვის შინაარსის გათვალისწინებით, საშუალებას იძლევიან გადაწყვეტილებების მიღებისას ჰქონდეს მეტად თავისუფალი არეალი, თუმცა იმოქმედოს კანონით განმტკიცებული პრინციპების შესაბამისად.

3.2. ადგილობრივი თვითმმართველობის პოლიტიკური თანამდებობის პირის მიმართ „საჯარო სამსახურის შესახებ“ საქართველოს კანონის და „საქართველოს შრომის კოდექსის” მოქმედების ფარგლები

ადგილობრივი თვითმმართველობის პოლიტიკური თანამდებობის პირებზე „საჯარო სამსახურის შესახებ“ საქართველოს კანონის მხოლოდ კონკრეტული ნორმები ვრცელდება. აღნიშნული იმითაა განპირობებული, რომ პოლიტიკური თანამდებობის პირები საჯარო მოსამსახურის სტატუსით არ სარგებლობენ, როგორც ზემოთ აღინიშნა, მათი სამსახურში მიღებისა და გათავისუფლების წესები საქართველოს საარჩევნო კოდექსითა და ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსითაა მოწესრიგებული.

თუმცა, ვინაიდან პოლიტიკური თანამდებობის პირები საჯარო დაწესებულებებში დასაქმებული პირები არიან, მიუხედავად მათი ფუნქციების განსაკუთრებული შინაარსისა, ისინი სარგებლობენ საჯარო სამსახურში დასაქმებულთათვის დადგენილი ზოგიერთი უფლებით და ეკისრებათ ასევე, გარკვეული პასუხისმგებლობებიც. „საჯარო სამსახურის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-4 მუხლის მე-2 პუნქტი განსაზღვრავს იმ კონკრეტულ ნორმათა ჩამონათვალს, რომელთა შინაარსი ვრცელდება მერზე, მერის მოადგილესა და საკრებულოს წევრებზე.

კერძოდ, პირი პოლიტიკური თანამდებების პირის სტატუსს ვერ შეიძენს და ვერ განწესდება თანამდებობაზე თუ იგი ნასამართლევია განზრახი დანაშაულისათვის ან მას სასამართლოს მიერ ჩამორთმეული აქვს საჯარო სამსახურში შესაბამისი თანამდებობის დაკავების უფლება. აგრეთვე, თუ მან სამსახურში მიღებისას არ წარმოადგინა საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი ფორმით ნარკოლოგიური შემოწმების ცნობა ან წარმოდგენილი ნარკოლოგიური შემოწმების ცნობა ადასტურებს მის მიერ ნარკოტიკული საშუალების მოხმარების ფაქტს. ამასთან აღსანიშნავია, რომ საქართველოს საარჩევნო კოდექსი ითვალისწინებს მერობის და საკრებულოს წევრთა კანდიდატების მიმართ საარჩევნო სუბიექტად რეგისტრაციისთვის უფლების ჩამორთმევის შესახებ ცნობის წარდგენის სავალდებულოობას. აღნიშნული ცნობა გაიცემა შსს მომსახურების სააგენტოს მიერ და ადასტურებს, რომ პირს „ნარკოტიკული დანაშაულის წინააღმდეგ ბრძოლის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-3 მუხლით გათვალისწინებული უფლებები ჩამორთმეული არ აქვს, როგორიცაა მათ შორის საჯარო სამსახურში საქმიანობის უფლება.

მუნიციპალიტეტის ორგანოს (დაწესებულების) მერი, მერის მოადგილე და საკრებულოს წევრი თვითმმართველობის ფუნქციების შეუფერხებლად განხორციელების მიზნით სარგებლობენ სამსახურებრივი მივლინების უფლებით. აღნიშნული მიზნით, მათ უფლება აქვთ მივლინებულ იქნენ უფლებამოსილებების განსახორციელებლად როგორც ქვეყნის შიგნით, ისე მის ფარგლებს გარეთ. სამსახურებრივი მივლინებისას პოლიტიკურ თანამდებობის პირს უფლება აქვს

მიიღოს კანონით გათვალისწინებული სამივლინებო ანაზღაურება, რაც უფლებამოსილებების სამსახურებრივი მივლინებით განხორციელებისას მიეცემა ნებისმიერ დასაქმებულს საჯარო სექტორში. აღნიშნულის სამართლებრივ საფუძველს ქმნის „საჯარო სამსახურის შესახებ“ საქართველოს კანონის 51-ე მუხლი, ხოლო მივლინების ანაზღაურების წესი კი გაწერილია „პროფესიული საჯარო მოხელის სამსახურებრივი მივლინებით გაგზავნის წესის, მისი სამსახურებრივი მივლინების ხარჯების ანაზღაურებისა და კომპენსაციის ოდენობისა და პირობების განსაზღვრის შესახებ“ საქართველოს მთავრობის №211 დადგენილებით.

პოლიტიკური თანამდებობის პირის მიმართ, როგორც ყველა დასაქმებულის მიმართ საჯარო დაწესებულებაში, მოქმედებს „საჯარო სამსახურის შესახებ“ საქართველოს კანონის 55-ე მუხლი სამსახურებრივი უფლებამოსილების შეჩერების საფუძვლების შესახებ. მაგალითად, მერიც, მერის მოადგილეც და საკრებულოს წევრიც როგორც დასაქმებული პირები, უფლებამოსილნი არიან ისარგებლონ კუთვნილი შვებულების უფლებით და მათზე ამ დროს ვრცელდება „საჯარო სამსახურის შესახებ“ საქართველოს კანონის 62-ე მუხლის შინაარსი, რა დროსაც მათ უნდა შეუჩერდეს სამსახურებრივი უფლებამოსილებები საერთო წესით.

პოლიტიკური თანამდებობის პირად განწესება არ ნიშნავს ადამიანის უფლებებით სარგებლობაზე უარის თქმას. შესაბამისად, ყველა დასაქმებული პირის უფლებაა, ისარგებლოს რა კუთვნილი შვებულებით, თავისი ფიზიკური, სულიერი თუ მენტალური დასვენებით, დაიცვას პირადი და სამსახურებრივი ცხოვრების ბალანსი. ამასთან, სამსახურებრივი უფლებამოსილება ჩერდება დროებითი შრომისუუნარობის პერიოდითაც. საავადმყოფო ფურცლის საფუძველზე უფლებამოსილებების შეჩერების უფლებით სარგებლობაც პირადი და სამსახურებრივი ცხოვრების ბალანსის მოთხოვნიდან გამომდინარეობს. სამსახურებრივი უფლებამოსილების შეჩერების საფუძველს წარმოადგენს ასევე მერის, მერის მოადგილისა და საკრებულოს წევრის კანდიდატად წარდგენა საქართველოს პრეზიდენტის ან წარმომადგენლობითი ორგანოს არჩევნებში.

ამასთან, მნიშვნელოვანია აღინიშნოს, რომ მერის მოადგილისა და საკრებულოს წევრის უფლებამოსილება ჩერდება მათი მუნიციპალიტეტის მერის არჩევნებში კანდიდატად წარდგენის შემთხვევაშიც. აღნიშნული წესი ემსახურება პოლიტიკური თანამდებობის პირების მიერ საარჩევნო მიზნებისთვის ადმინისტრაციული რესურსის გამოყენების აკრძალვის პრევენციას და მნიშვნელოვანია პოლიტიკური ნეიტრალიტეტის პრინციპის განსამტკიცებლად.

მერს, მერის მოადგილესა და საკრებულოს წევრს სამსახურებრივი უფლებამოსილებები უჩერდება ასევე სამხედრო სავალდებულო სამსახურში ან არასამხედრო, ალტერნატიულ შრომით სამსახურში გაწვევისას, სამხედრო სარეზერვო სამსახურის გავლის, აგრეთვე სამხედრო სარეზერვო სამსახურის მოსამსახურეთა მობილიზაციის დროს, თუ მათ აღარ შეუძლიათ სამსახურებრივი მოვალეობის შესრულება.

ქალთა მიმართ ძალადობის ან/და ოჯახში ძალადობის მსხვერპლის თავშესაფარში ან კრიზისულ ცენტრში მოთავსებისას, თუ პირს აღარ შეუძლია სამსახურებრივი მოვალეობის შესრულება, მაგრამ წელიწადში არაუმეტეს 30 კალენდარული დღისა, უჩერდება ასევე სამსახურებრივი უფლებამოსილება და აღნიშნული წესი ვრცელდება ასევე პოლიტიკურ თანამდებობის პირებზეც.

სამსახურებრივი უფლებამოსილებები ჩერდება ასევე საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით პოლიტიკური თანამდებობის პირის დაკავების, მისი ადმინისტრაციული პატიმრობის ან მისთვის ისეთი აღკვეთის ღონისძიების შეფარდების შემთხვევაში, რომელიც გამორიცხავს სამსახურებრივი უფლებამოსილების განხორციელებას, აგრეთვე საჯარო დაწესებულების გადაწყვეტილებით, მისთვის სისხლის სამართლის პასუხისგებაში მიცემის შემთხვევაში, სისხლისსამართლებრივი დევნის შეწყვეტამდე ან განაჩენის კანონიერ ძალაში შესვლამდე. ამასთან გასათვალისწინებელია ის გარემოება, რომ საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსის“ 43-ე მუხლი განსაზღვრავს მუნიციპალიტეტის საკრებულოს წევრის უფლებამოსილების შეჩერებისა და უფლებამოსილების აღდგენის სპეციალურ წესს. კერძოდ, მუნიციპალიტეტის საკრებულოს წევრს უფლებამოსილება შეუჩერდება სასამართლოს მიერ მისთვის აღკვეთის ღონისძიების სახით პატიმრობის ან ადმინისტრაციული სახდელის სახით ადმინისტრაციული პატიმრობის შეფარდების შემთხვევაში. უფლებამოსილების შეჩერების ვადა განისაზღვრება შესაბამისად პატიმრობის ან ადმინისტრაციული პატიმრობის მოქმედების ვადით. მარეაბილიტირებელი საფუძვლით სისხლისსამართლებრივი დევნის შეწყვეტის, აღკვეთის ღონისძიების სახით შეფარდებული პატიმრობის გაუქმების ან სასამართლოს მიერ გამამართლებელი განაჩენის გამოტანის შემთხვევაში, მუნიციპალიტეტის საკრებულოს წევრს აღუდგება მუნიციპალიტეტის საკრებულოს წევრის უფლებამოსილება, თუ გასული არ არის იმ მუნიციპალიტეტის საკრებულოს უფლებამოსილების ვადა, რომლის წევრიც არის იგი, ხოლო მუნიციპალიტეტის საკრებულოს თანამდებობის პირს მიეცემა განაცდური ხელფასი.

ამასთან, მუნიციპალიტეტის საკრებულოს წევრს, თუ გასულია იმ მუნიციპალიტეტის საკრებულოს უფლებამოსილების ვადა, რომლის წევრიც იყო იგი, დაკავების ან დაპატიმრების ვადა ჩაეთვლება მუნიციპალიტეტის საკრებულოს წევრად ყოფნის საერთო ვადაში, ხოლო მუნიციპალიტეტის საკრებულოს თანამდებობის პირს მიეცემა შესაბამისი განაცდური ხელფასი. აღნიშნული საკითხი, უშუალოდ მუნიციპალიტეტის მერის შემთხვევაში, მოწესრიგებულია საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსის“ 56-ე მუხლით, რომლის თანახმადაც მუნიციპალიტეტის მერის უფლებამოსილება ჩერდება სასამართლოს მიერ აღკვეთის ღონისძიების სახით პატიმრობის შეფარდებისას, სასამართლოს მიერ ადმინისტრაციული სახდელის სახით ადმინისტრაციული პატიმრობის შეფარდებისას, სასამართლოს გამამტყუნებელი განაჩენის კანონიერ ძალაში შესვლისას, თუ გასული არ არის საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით ზემდგომი

ინსტანციის სასამართლოში გასაჩივრების ვადა. აღნიშნულ შემთხვევებში, მერის უფლებამოსილების შეჩერების ვადა განისაზღვრება შესაბამისად პატიმრობის ვადით ან ადმინისტრაციული პატიმრობის მოქმედების ვადით და ზემდგომი ინსტანციის სასამართლოში გასაჩივრების ვადით. მუნიციპალიტეტის საკრებულო ცნობად იღებს და აფორმებს საკრებულოს სხდომის საოქმო ჩანაწერით მერის უფლებამოსილების შეჩერების საკითხს და აღნიშნულ დროს მერს უფლებამოსილება უჩერდება შესაბამისი ფაქტის დადგომის მომდევნო დღიდან. მარეაბილიტირებელი საფუძვლით სისხლისსამართლებრივი დევნის შეწყვეტის, აღკვეთის ღონისძიების სახით შეფარდებული პატიმრობის გაუქმების ან სასამართლოს მიერ გამამართლებელი განაჩენის გამოტანის შემთხვევაში, მერს აღუდგება მერის უფლებამოსილება, თუ გასული არ არის მისი უფლებამოსილების ვადა, და მიეცემა განაცდური ხელფასი საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად. ხოლო, თუ გასულია მისი უფლებამოსილების ვადა, დაკავების ან დაპატიმრების ვადა ჩაეთვლება მერად მუშაობის საერთო ვადაში და მიეცემა შესაბამისი განაცდური ხელფასი.

პოლიტიკური თანამდებობის პირს სამსახურებრივი უფლებამოსილება შეიძლება შეუჩერდეს კანონის შესაბამისად ან მის საფუძველზე დროებით გათავისუფლების სხვა შემთხვევაშიც. აღნიშნული შესაძლებელია მათ შორის იმ დროს, როდესაც პოლიტიკური თანამდებობის პირი სასწავლო მიზნებისთვის მოითხოვს უფლებამოსილების დროებით შეჩერებას.

პოლიტიკური თანამდებობის პირი სარგებლობს ასევე „საჯარო სამსახურის შესახებ“ საქართველოს კანონის 64-ე მუხლით გათვალისწინებული ორსულობის, მშობიარობისა და ბავშვის მოვლის გამო და ახალშობილის შვილად აყვანის გამო შვებულების უფლებით. იგი, როგორც საჯარო დაწესებულებაში დასაქმებული პირი უფლებამოსილია ისარგებლოს როგორც ანაზღაურებადი, ასევე ანაზღაურების გარეშე შვებულებით ბავშვის მოვლის გამო და ახალშობილის შვილად აყვანის გამო. პოლიტიკური თანამდებობის პირის მანდატი ვერ იქნება ამ დროს შემზღუდველი საჯარო დაწესებულებაში დასაქმებული პირებისათვის დადგენილი შეღავათებითა და უფლებებით სარგებლობის ნაწილში ორსულობის, მშობიარობისა და ბავშვის მოვლის გამო და ახალშობილის შვილად აყვანის გამო შვებულებით სარგებლობისას. ყოველივე ზემოთქმულის გასამყარებლად, კანონმდებელი პოლიტიკურ თანამდებობის პირებზე ავრცელებს „საჯარო სამსახურის შესახებ“ საქართველოს კანონის 124-ე მუხლის მოქმედებას და ადგენს, რომ პოლიტიკური თანამდებობის პირის, როგორც საჯარო სამსახურის განმახორციელებლის მოღვაწეობა ითვლება სამსახურის სტაჟში.

ჩვენს ქვეყანაში დასაქმებული ნებისმიერი პირი, იქნება იგი საჯარო სექტორში დასაქმებული თუ კერძო სექტორში, სარგებლობს საქართველოს ორგანული კანონი „საქართველოს შრომის კოდექსით“ გათვალისწინებული დასვენების და უქმე დღეებით. შესაბამისად, ისინი არ არიან ვალდებულნი განახორციელონ უფლებამოსილებები საყოველთაოდ აღიარებულ უქმე დღეებში და უფლებამოსილნი არიან დაისვენონ საერთო წესით. როგორც ზემოთ აღინიშნა, მნიშვნელოვანია დასაქმებულმა პირებმა პირადი და სამსახურებრივი ცხოვრების ბალანსის იდეა კარგად გაითავისონ, ვინაიდან პირის ფიზიკური და გონებრივი შესაძლებლობები ამ

ბალანსის გარეშე შეიძლება დაზიანდეს და ამით საფრთხე შეექმნას ფუნქციების ნორმალურ განხორციელებას. ამასთან აუცილებელია აღინიშნოს, რომ შრომის კანონმდებლობით გათვალისწინებულია შრომითი დისკრიმინაციის აკრძალვის დებულებები, როგორიცაა დისკრიმინაციის ყველა ფორმის აკრძალვა, გენდერული თანასწორობა, სექსუალური შევიწროვების პრევენცია, შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა შრომითი უფლებების რეალიზება და სხვა. აღნიშვნის ღირსია შრომის პირობების დაცვის ვალდებულება, რომლის რეალიზებაც უნდა მოხდეს ყველა ორგანიზაციაში; შრომის უსაფრთხო და ნორმალური პირობებით სარგებლობის უფლება პოლიტიკური თანამდებობის პირების უფლებაცაა.

როდესაც საუბარია უფლებაზე, ასევე ხაზგასასმელია მათივე ვალდებულებები და მათი შინაარსიც. პოლიტიკური თანამდებობის პირები, როგორც საჯარო დაწესებულებაში დასაქმებული პირები, ვალდებულნი არიან დაიცვან სამსახურებრივი საიდუმლოება, სხვა პირთა პერსონალური მონაცემი, სახელმწიფო საიდუმლოებას მიკუთვნებული ინფორმაცია. კონფიდენციალური ინფორმაციის დაცვის ვალდებულება საქართველოს სხვადასხვა კანონიდან გამომდინარეობს. ამასთან, მნიშვნელოვან ვალდებულებას ქმნის შინაგანაწესიც. შინაგანაწესი, როგორც საჯარო დაწესებულების შიდა რეგულაციების მომწესრიგებელი დოკუმენტი ყველა დასაქმებული პირის მიერ მისი დაცვის ვალდებულებას ქმნის. მათ შორის, აღნიშვნის ღირსია თამბაქოს მოხმარებისას რეგულაციების დაცვის ვალდებულება, სამუშაო საათები და ზოგადი დისციპლინა.

ყოველივე ეს ქმნის ორგანიზაციული კულტურისა და ორგანიზაციული კეთილდღეობის განმტკიცების საფუძვლებს. პოლიტიკური თანამდებობის პირიც ორგანიზაციის ნაწილია, იქნება ეს მერი, მერის მოადგილე თუ საკრებულოს წევრი. შესაბამისად, მის მიერ შრომითი დისციპლინის დაცვა და ორგანიზაციის ნორმალური ფუნქციონირების ხელშეწყობის უზრუნველყოფა უპირველესი ვალდებულებაა.

4. ადგილობრივი თვითმმართველობის პოლიტიკური თანამდებობის პირი, როგორც მენეჯერი და ლიდერი

ნებისმიერი თანამედროვე წარმატებული ორგანიზაციის გუნდის სათავეში წარმატებული და კვალიფიციური მენეჯერი და ლიდერი დგას. ორგანიზაციის მუშაობის გამართულობა, მიზნების მიღწევა და წარმატებული საქმიანობა დამოკიდებულია ხელმძღვანელ პირთა უნარებსა და მართვის სტილზე. პოლიტიკური თანამდებობის პირების საქმიანობა, მათი ფუნქციების შინაარსის გათვალისწინებით, ორმაგი ფუნქციური დატვირთვით ხასიათდება და გარდა პოლიტიკური მმართველობითი უფლებამოსილებებისა, ისინი ორგანიზაციის მართვის უნარებითაც უნდა იყვნენ აღჭურვილნი. ხშირად მენეჯერული გადაწყვეტილებების მიღებისას გამოვლენილი მმართველობითი დამოკიდებულებები, ორგანიზაციის საქმიანობის წარმართვის ხელოვნება და გუნდის მართვის თანამედროვე მეთოდები განაპირობებს მუნიციპალიტეტის წინაშე მდგარი ამოცანების წარმატებას და დამოკიდებულია ლიდერი პოლიტიკური თანამდებობის პირის ადგილსა და როლზე მმართველობის პროცესში.

4.1. ადგილობრივი თვითმმართველობის პოლიტიკური თანამდებობის პირი მენეჯერის ფუნქციით. თანამდებობების ჩამონათვალი და მათი ფუნქციური განმარტება

აუცილებელია დაკონკრეტდეს ის ლიდერული უნარები, რაც პოლიტიკური თანამდებობის პირებმა უნდა განავითარონ მმართველობითი მიზნების უკეთესად მიღწევის უზრუნველსაყოფად. ამასთან აღსანიშნავია, რომ ლიდერია ნებისმიერი ის პირი, რომელსაც შეუძლია საჯარო სიკეთის შექმნის, საჯარო დაწესებულების მიზნების მიღწევისთვის სამაგალითო ქცევა და დამოკიდებულება აჩვენოს გუნდის წევრებს და განაწყოს ისინი პოზიტიურად. სწორედ აღნიშნულიდან გამომდინარე:

- პოლიტიკური თანამდებობის პირი მისი საქმიანობის პროცესში სიტუაციის ანალიზისა და კონკრეტული ამოცანის შინაარსის გათვალისწინებით უნდა არჩევდეს მოქმედების და გადაწყვეტილების მიღების შესაბამის სტილს;

- იგი საქმიანობის პროცესში უნდა ირჩევდეს თანამშრომლობითი მართვის სტილს, რაც იმაში გამოიხატება, რომ მისდამი დაქვემდებარებული მუნიციპალიტეტის ორგანოს (დაწესებულების) თანამშრომლებს მიაწოდოს ინფორმაცია დაწესებულების წინაშე მდგარი ამოცანებისა და მიზნების შესახებ და წაახალისოს გუნდის წევრებს შორის საქმიანი ინფორმაციის გაცვლის პრაქტიკა და გადაწვეტილებების მიღების ინოვაციური მიდგომები;

- თანამშრომლობითი მართვის სტილიდან გამომდინარე, მიზანშეწონილია პოლიტიკური თანამდებობის პირი, როგორც ლიდერი მუნიციპალიტეტის ორგანოს (დაწესებულების) თანამშრომელთათვის ჯანსაღი ორგანიზაციული კულტურის შექმნის და ეთიკური ქცევის მაგალითი იყოს;

- მნიშვნელოვნად შეუწყობს ხელს მუნიციპალიტეტის ორგანოს (დაწესებულების) მიზნების მიღწევას მენეჯერი-ლიდერის მხრიდან ორგანიზაციული განვითარების ხედვისა და პრიორიტეტების მკაფიოდ განსაზღვრა და ამავდროულად გუნდის ჩართულობის უზრუნველყოფა ხედვის ჩამოყალიბებაში;

- ლიდერული მართვის სტილის დამკვიდრების უმნიშვნელოვანეს ქვაკუთხედს წარმოადგენს მაგალითის მიცემა გუნდისათვის, რაც ლიდერის მიერ სწორი ქცევით გადაწყვეტილების მიღებაში გამოიხატება;
  თანამედროვე ლიდერობა მოითხოვს პოლიტიკური თანამდებობის პირებისგან მოხდეს აღიარება და დაფასება საჯარო დაწესებულების თითოეული თანამშრომლის მიღწევის და გუნდის წარმატების;

- თანასწორუფლებიანობისა და თავისუფალი გარემოს შექმნა ხელმძღვანელი-ლიდერის მნიშვნელოვანი უნარია მართვის პროცესში; მათ შორის, გენდერული სტერეოტიპების აღმოფხვრა, თანასწორუფლებიანი მოპყრობა და სამართლიანობის განცდა გუნდში, მენეჯერი-ლიდერის მართვის უნარებზეა დამოკიდებული;
  მუნიციპალიტეტის ორგანოს (დაწესებულების) საქმიანობის მიმართ ნდობა საზოგადოების მხრიდან მოიპოვება საჯარო დაწესებულების რეპუტაციის ამაღლებითა და ნდობით; სწორედ ამიტომ, მნიშვნელოვანია, რომ მენეჯერი-ლიდერის როლი და მისი ქცევის სტანდარტი მაგალითი იყო მთლიანი გუნდისთვის პასუხისმგებლობისა და ანგარიშვალდებულების პრინციპების რეალიზების;

- მუნიციპალიტეტის ორგანოს (დაწესებულების) ნორმალური და ნდობით აღჭურვილი საქმიანობა თავად ამ დაწესებულების ადამიანური რესურსის პროფესიონალიზმით განისაზღვრება; აღნიშნულიდან გამომდინარე, მნიშვნელოვანია პოლიტიკური თანამდებობის პირები, როგორც მენეჯერები და ლიდერები ხელს უწყობდნენ პროფესიონალიზმის წახალისებასა და ამაღლებას მათდამი დაქვემდებარებულ უწყებებში და აღნიშნულის უზრუნველსაყოფად შექმნან შესაბამისი გარემო ტალანტების აღმოსაჩენად და განსავითარებლად; შესაბამისად, თანამშრომელთა მოტივირება და მათი ბიზნეს პროცესებში ჩართულობისათვის თანაბარი შესაძლებლობების შექმნა, მენეჯერი-ლიდერის უმნიშვნელოვანესი ფუნქციაა;

- პოლიტიკური თანამდებობის პირების ფუნქციების მრავალფეროვნება და მრავალწახნაგოვანი ბუნება აუცილებელს ხდის თანამედროვე ეფექტური მართვის პრინციპების დანერგვის უზრუნველსაყოფად ორგანიზაციაში დამკვიდრდეს პასუხისმგებლობების განაწილების სამართლიანი წესი და განვითარდეს დელეგირების ინსტიტუტი; მკაფიოდ განსაზღვრული დავალებები და მათი შესრულების ზედამხედველობა წარმოადგენს პოლიტიკური თანამდებობის პირთა მნიშვნელოვან უნარს, რაც მათ უნდა განივითარონ კარგი ლიდერული მართვის კულტურის დანერგვის უზრუნველსაყოფად;

- აუცილებელია პოლიტიკური თანამდებობის პირისთვის ეფექტური კომუნიკაციის უნარების განვითარება და არგუმენტირებული კომუნიკაციის სტილი მართვის პროცესში; თანამშრომელთა აქტიური მოსმენა და მათ მიმართ განხორციელებული კონსტრუქციული უკუკავშირი მნიშვნელოვანი უნარია, რაც მენეჯერ პოლიტიკური თანამდებობის პირს თანამედროვე გამოწვევების გამკლავებაშიც დაეხმარება და მისდამი დაქვემდებარებული მუნიციპალიტეტის ორგანოს (დაწესებულების) თანამშრომლებთან ერთად გუნდური მუშაობის შესაძლებლობასაც შეუქმნის;

- განსაკუთრებით აქტუალური არის ცვლილებების მართვის უნარები, რაც ყველა მენეჯერის საქმიანობაში ხდება და ამ დროს აუცილებელია სწორი, საფუძვლიანი და თანმიმდევრული დაგეგმვის პროცესის უზრუნველყოფა, რათა ცვლილებები გუნდისთვის არ გახდეს არაორგანული და მათი მიღებით ორგანიზაციის ეფექტიანობა ამაღლდეს და არა პირიქით; შესაბამისად, ცვლილებების დაგეგმვის, განხორციელებისა და ამ პროცესში სწორი კომუნიკაციის უნარების წარმოჩენა ყველა მენეჯერი ლიდერისთვის მნიშვნელოვანია; აქვე ხაზგასასმელია რისკების მართვისა და დაზღვევის საკითხი; მენეჯერი პოლიტიკური თანამდებობის პირი უნდა ფიქრობდეს რისკების მართვის საკითხზე ნებისმიერი მნიშვნელოვანი გადაწყვეტილების მიღებისას და უნდა აფასებდეს იმ საფრთხეებს და ზეგავლენას, რაც გადაწყვეტილების მიღებას შესაძლოა მოყვეს; ამ მიზნით მან, გუნდთან მუშაობის ზემოაღნიშნული ეფექტური მეთოდების გამოყენებით, უნდა მოახდინოს მოსალოდნელი საფრთხეების განჭვრეტა, ორგანიზაციის განვითარების ხელისშემშლელი ფაქტორების პრევენცია და მართვა;

- პოლიტიკური თანამდებობის პირი, როგორც მენეჯერი და ლიდერი დაზღვეული არაა ისეთი სიტუაციებისგან, როცა მას მოუწევს კრიზისის გადალახვა და თუნდაც კონკრეტული კონფლიქტის გადაჭრა; მას ეს უსიამოვნო მოვლენები შესაძლოა წარმოეშვას როგორც მისდამი დაქვემდებარებული მუნიციპალიტეტის ორგანოს (დაწესებულების) ფარგლებში, ასევე გარე აქტორებთან მიმართებითაც; შესაბამისად, თუ შესაძლებელია, მან პრევენცია უნდა განახორციელოს კრიზისის თავიდან არიდების მიზნით და საწყის ეტაპზევე შეამციროს კრიზისის გავლენა როგორც ორგანიზაციაზე, ასევე მუნიციპალიტეტზე; მნიშვნელოვანია ანტიკრიზისული გეგმა და სტრატეგია, როგორც სამოქმედო ინსტრუმენტი, რათა სწორი კომუნიკაციით და სანდო ინფორმაციის მიწოდებით გაანეიტრალოს კრიზისი და მინიმუმამდე შეამციროს რისკები;

- ნებისმიერი კონფლიქტი და ნებისმიერი კრიზისი ყველა პროგრესული მენეჯერისთვის გაკვეთილია; მიღებული შედეგების ანალიზი ცხადყოფს, რომ აუცილებელია სხვადასხვა ტიპის რეფორმები, მართვის სტილის ცვლილებები თუ მენეჯერული უნარების მიმართვა სხვადასხვა პრობლემების მოგვარების მიზნით; შესაბამისად რეკომენდებულია, რომ მენეჯერმა კრიზისის სწორი ანალიზით მიღებული გამოცდილება მომავალში გამოიყენოს პრევენციისთვის და ამ მიზნით განავითაროს, როგორც გუნდის უნარები, ასევე დააკმაყოფილოს საჭიროებები.

ყოველივე ზემოთქმულიდან გამომდინარე, აუცილებელია ხაზგასმით აღინიშნოს, რომ პოლიტიკური თანამდებობის პირები თვითმმართველობის რთული და მრავალწახნაგოვანი ბუნებიდან გამომდინარე, მართვის რთული და კომპლექსური უნარებით უნდა აღიჭურვონ. ამ მიზნით, მიზანშეწონილია სიახლეების გაცნობა უწყვეტ რეჟიმში, ორგანიზაციის პულსაციაზე ხელის შეხება და სწორი დაგეგმვის, ინფორმაციის მიწოდების და კომუნიკაციის უნარების განვითარება.

გვახსოვდეს: ლიდერობა არის პროცესი, რომლის დროსაც ლიდერი გავლენას ახდენს ინდივიდების ჯგუფზე იმგვარად, რომ ისინი, საკუთარი ინიციატივით, მაქსიმალურად ცდილობენ საერთო და სასიკეთო მიზნების მიღწევას. ლიდერები გავლენას ახდენენ თავის გარშემომყოფებზე იმგვარად, რომ მათ თავად უჩნდებათ სურვილი, გაიზიარონ ლიდერის ხედვა და მიზნები!

4.2. მენეჯერული ფუნქციის განმახორციელებელი პოლიტიკური თანამდებობის პირების მიმართ მოქმედი სამართლებრივი აქტები

როგორც აღინიშნა, მენეჯერული ფუნქციით ყველა პოლიტიკური თანამდებობის პირი არ აღიჭურვება. მენეჯერულ პოზიციად კი ითვლება მერის, მერის მოადგილის და საკრებულოს იმ წევრის საქმიანობა, რომელიც აღმასრულებელ-განმკარგულებელ ფუნქციებს ასრულებს ორგანიზაციაში.

თუ ლიდერობა არის პროცესი, რაც შეიძლება თანამდებობის მიუხედავად ყველა დასაქმებულის, ამ შემთხვევაში პოლიტიკურ თანამდებობის პირის მნიშვნელოვანი მართვის უნარების განხორციელებაში გამოიხატება, მენეჯერული საქმიანობა მხოლოდ იმ პოზიციებზე დასაქმებულ პირთა ვალდებულებაა, რომლებიც მერის, მერის მოადგილის, საკრებულოს შესაბამისი თანამდებობის პირის უფლებამოსილებებს ახორციელებენ.

ყველაზე მნიშვნელოვანი მენეჯერული ფუნქცია დაქვემდებარებული მუნიციპალიტეტის ორგანოს (დაწესებულების) მართვაა. ამ ფუნქციის განხორციელების სამართლებრივ საფუძველს ქმნის საქართველოს ორგანული კანონი „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი“. სწორედ ამ ნორმატიული აქტის საფუძველზე სარგებლობს მერი მერიის ხელმძღვანელობის უფლებით, ხოლო საკრებულოს თავმჯდომარე - საკრებულოს ხელმძღვანელობის უფლებით; ასევე, მერის მოადგილეები შესაბამისი დარგის (ქვედარგის) ხელმძღვანელობის უფლებამოსილებით. მერიისა და საკრებულოს საჯარო მოსამსახურეთა თანამდებობაზე განწესება და მათი თანამდებობიდან გათავისუფლება სწორედ ამ პირთა ფუნქციაა, კანონით დადგენილი წესით.

გარდა ამისა, მენეჯერული ფუნქციების განხორციელების მნიშვნელოვან სამართლებრივ საფუძველს ქმნის „საჯარო სამსახურის შესახებ“ საქართველოს კანონი და მისგან გამომდინარე კანონქვემდებარე აქტები, როგორიცაა „საჯარო სამსახურში კონკურსის ჩატარების წესი“, „პროფესიული საჯარო მოხელის წახალისების წესი“, „პროფესიული საჯარო მოხელის შეფასების წესი“, „პროფესიული საჯარო მოხელის პროფესიული განვითარების საჭიროებების განსაზღვრის წესის, პროფესიული განვითარების სტანდარტისა და წესის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს მთავრობის დადგენილება და სხვა.

მენეჯერული ფუნქციებით აღჭურვილი პოლიტიკური თანამდებობის პირი ერთი მხრივ, დისტანცირებული უნდა იყოს მისი პოლიტიკური შეხედულებების საჯარო მოსამსახურეების მიმართ გავრცელებისგან და მეორე მხრივ, მენეჯერული საქმიანობა განახორციელოს საჯარო სამსახურის მარეგულირებელი კანონმდებლობით დადგენილი წესით და დადგენილი ფარგლებით. ეს რთული და იმავდროულად საპასუხისმგებლო ვალდებულებაა, რომელის შესრულებაც პოლიტიკური თანამდებობის პირისგან მოითხოვს მაღალ ეთიკურ სტანდარტს, ღირებულებათა პატივისცემასა და პროფესიონალიზმს.

მნიშვნელოვანი მენეჯერული ფუნქცია, პროფესიული საჯარო მოხელის შეფასება, ის ინსტრუმენტია, რომლის განხორციელებისას ფასდება უშუალოდ დაქვემდებარებული პროფესიული საჯარო მოხელის მიერ შესრულებული სამუშაო; სუბიექტური დამოკიდებულებები შეფასების დროს უკუგდებული და ნულამდე დაყვანილი უნდა იყოს შემფასებელი მენეჯერის მხრიდან.

ამიტომ, შეფასების სისტემა, შეფასების პროცედურა და მეთოდოლოგია კარგად უნდა იქნეს გაგებული თითოეული მენეჯერის მხრიდან, რათა მის მიერ მიღებული გადაწყვეტილებები, რომლებსაც მოყვება სამართლებრივი შედეგი, აღქმული არ იყოს ადრესატის მხრიდან სუბიექტურ დამოკიდებულებად. ამ მიზნით, რეკომენდირებულია ყველა პოლიტიკური თანამდებობის პირმა, რომელიც აღჭურვილია მენეჯერული ფუნქციებით, შესაბამისი სწავლება, ცნობიერების ამაღლების კურსი გაიაროს მოხელეთა შეფასების საკითხებზე და განივითაროს შესაბამისი უნარები ამ მენეჯერული ფუნქციის ფრთხილად და სამართლიანად შესრულების უზრუნველსაყოფად.

ყველა მენეჯერის ვალია იზრუნოს პროფესიონალიზმზე მის გუნდში; შესაბამისად, შეფასების პროცესის სამართლიანი მიმდინარეობა და შედეგები მენეჯერ თანამდებობის პირს აძლევს შესაძლებლობას სწორად დაგეგმოს თანამშრომელთა შემდგომი პროფესიული განვითარება. პროფესიული განვითარების წესის და მისი შინაარსის გაცნობა აუცილებელია მთლიანად ორგანიზაციული მიზნების სწორად წარმართვისთვის და გუნდის წევრთა პროფესიონალიზმისთვის. ამასთან, რეკომენდებულია მენეჯერმა თავად მისცეს კარგი მაგალითი გუნდს, თავადაც მიიღოს მონაწილეობა პროფესიული განვითარების შემოთავაზებულ პროგრამაში და იზრუნოს გუნდის თითოეული წევრის კარიერის დაგეგმვისთვის მათი პროფესიონალიზმის ამაღლების გზით.

თანასწორობის, სამართლიანობისა და მოტივაციის ამაღლების მიზნით, რეკომენდებულია მენეჯერული ფუნქციით აღჭურვილი პოლიტიკური თანამდებობის პირი გაეცნოს კონკურსის ჩატარების წესებს, დაიცვას კანონმდებლობით დადგენილი პროცედურები და საჭიროების შემთხვევაში, დისტანცირდეს კარიერული გადაწყვეტილების მიღებისას, რათა მისი თუნდაც ირიბი ჩართულობა არ იქნეს აღქმული პოლიტიკური ნეიტრალიტეტისა და მიუკერძოებლობის პრინციპების დარღვევად. ამასთან მნიშვნელოვანია, მენეჯერული ფუნქციით აღჭურვილი პოლიტიკური თანამდებობის პირი ახდენდეს გუნდის მოტივაციას კანონმდებლობით გათვალისწინებული წახალისების სხვადასხვა საშუალების გამოყენებით. იგი უნდა ზრუნავდეს ეთიკის, ქცევის წესების დაცვასა და ორგანიზაციული კულტურის განვითარებაზე. მან ასევე უნდა წაახალისოს ინოვაციები და იყოს მუდამ ჩართული გუნდური მუშაობის პროცესში.

დისციპლინა ორგანიზაციაში მნიშვნელოვანია. მენეჯერული ფუნქციით აღჭურვილი პოლიტიკური თანამდებობის პირები თავად უნდა იყვნენ დისციპლინის სტანდარტის ნიმუში და ნებისმიერი არაკეთილსინდისიერი ქმედება არ უნდა დატოვონ რეაგირების გარეშე. მათი დამოკიდებულება ნეპოტიზმის და პროტექციონიზმის გამოვლინებების, ინტერესთა კონფლიქტების პრევენციის მიზნით უნდა იყოს სამაგალითო მუნიციპალიტეტის ორგანოს (დაწესებულების) ყველა სხვა დასაქმებულისთვის.

სწორედ ასეთი მართვის სტილი და კანონმდებლობით გათვალისწინებული რეგულაციები მენეჯერის ხელში, მათი სწორად გამოყენების შემთხვევაში, ორგანიზაციას გახდის სანიმუშოს, სამუშაო პროცესს სასიამოვნოს და სასიკეთო საქმის, თვითმმართველობის ფუნქციის განხორციელებას კი, ეფექტურს.[5]

5. ილუსტრირებული სახელმძღვანელო მენეჯერებისათვის შეგიძლიათ იხილოთ აქ: http://www.csb.gov.ge/media/3145/8888.pdf

5. ადგილობრივი თვითმმართველობის თანამდებობის პირის ვალდებულებები/პასუხისმგებლობა

5.1. ქვეყნის ანტიკორუფციული პოლიტიკის მოკლე მიმოხილვა

სახელმწიფო მმართველობის ღიაობა, გამჭვირვალობა და საზოგადოების წინაშე ანგარიშვალდებულება, მოითხოვს ქმედით ანტიკორუფციულ პოლიტიკას. ეს უკანასკნელი გულისხმობს, რომ ქვეყნაში არსებობს შესაბამისი მექანიზმი საჯარო ფინანსების მართვისა და სახელმწიფო შესყიდვების გამჭვირვალობის უზრუნველსაყოფად, ასევე უზრუნველყოფილია თანამდებობის პირების შემოსავლებისა და ქონების შესახებ ინფორმაციის გამოქვეყნება.

კანონმდებლობის ეფექტიანი აღსრულება ქვეყანაში კანონის უზენაესობის განმტკიცებას ემსახურება.

ანგარიშვალდებულება, გამჭვირვალობა და ღიაობა - კომპლექსური და მნიშვნელოვანი საკითხებია დემოკრატიული მმართველობისათვის.

ქვეყნის ანტიკორუფციული კანონმდებლობა ორიენტირებულია სრულყოფილად დაარეგულიროს შესაძლო ინტერესთა კონფლიქტის შემთხვევები და მოახდინოს ინტერესთა შეუთავსებლობის პრევენცია. ამ სფეროს კონტროლი მნიშვნელოვანი ანტიკორუფციული მექანიზმია, რადგან, როგორც კი აღნიშნული სივრცე დაურეგულირებელი რჩება, პრაქტიკაში არსებობს საჯარო რესურსის გამოყენებით კერძო ინტერესების გატარების ალბათობა.

ანტიკორუფციული მიზნებიდან გამომდინარე, ხაზგასასმელია კანონმდებლის მიდგომა, რომლის თანახმადაც, მუნიციპალიტეტის საკრებულოს თანამდებობის პირს უფლებამოსილება ვადამდე შეუწყდება „საჯარო დაწესებულებაში ინტერესთა შეუთავსებლობისა და კორუფციის შესახებ“ საქართველოს კანონით განსაზღვრული თანამდებობის პირისთვის შეუთავსებელი თანამდებობის დაკავების ან შეუთავსებელი საქმიანობის განხორციელების შემთხვევაში.

5.2. მიუკერძოებლობის პრინციპი

მიუხედავად იმისა, რომ პოლიტიკური თანმდებობის პირები სწორედ მათი პოლიტიკური შეხედულებების გამო არიან არჩეული/დანიშნული თანამდებობის პირებად, ისინი თავიანთი სამსახურებრივი მოვალეობის შესრულებისას ემსახურებიან არა რომელიმე კონკრეტული პოლიტიკური პარტიის ინტერესებს, არამედ სახელმწიფოსა და მთელი საზოგადოების ინტერესებს. ისინი მათზე კონსტიტუციით და კანონმდებლობით მინიჭებულ უფლებამოსილებებს სწორედ მთელი საზოგადოების და არამხოლოდ საკუთარი, ან მისი პარტიის ამომრჩეველთა საკეთილდღეოდ იყენებენ. შესაბამისად, პოლიტიკური თანამდებობის პირები, თუნდაც **პოლიტიკური გადაწვეტილების** მიღებისას, მთელ საზოგადოებას ემსახურებიან. ამიტომ, განსაკუთრებით მნიშვნელოვანია, რომ ამგვარი გადაწვეტილების

მიღებისას ისინი იყვნენ მიუკერძოებელი, და უპირატესობა მთლიან საზოგადოებას, **საჯარო ინტერესებს** მიენიჭოს და არა მხოლოდ მათ ამომრჩევლებს, ან საკუთარი პოლიტიკური პარტიის ინტერესებს.

სამსახურებრივი უფლებამოსილების განხორციელებისას, როგორც საჯარო მოხელე, ისე პოლიტიკური თანამდებობის პირი მიუკერძოებელი უნდა იყოს და ხელმძღვანელობდეს მხოლოდ საჯარო ინტერესებით. მას ეკრძალება პირადი ინტერესებით მოქმედება.

მიუკერძოებლობა ნიშნავს ნეიტრალურობას, დამოუკიდებლობასა და ობიექტურობას, კეთილსინდისიერებასა და ბალანსს, საღად აზროვნებასა და თანასწორობას. თუმცა, ეს განმარტება რა თქმა უნდა არ ნიშნავს აპათიას, გულგრილობას, ან რეაქციის არქონას საჯარო პოლიტიკის პრიორიტეტებისადმი.

სწორედ მიუკერძოებლობის იდეიდან გამომდინარე, გამართლებული და ლეგიტიმურია პოლიტიკური თანამდებობის პირების უფლებათა პროპორციული შეზღუდვა, რაც გამოიხატება თუნდაც, „საჯარო დაწესებულებაში ინტერესთა შეუთავსებლობისა და კორუფციის შესახებ“ საქართველოს კანონის სულისკვეთებიდანაც. მაგალითად, პოლიტიკური თანამდებობის პირი ვერ მიიღებს მიუკერძოებელ გადაწვეტილებას საქმეზე, თუ ის არის გადაწყვეტილების მიღების უფლებამოსილების მქონე პირი ისეთ საკითხზე, რომელიც არის მისი ოჯახის წევრისათვის, მისთვის და ახლო ნათესავებისათვის სარგებლის მომტანი. ასეთ შემთხვევაში მას აქვს თვითაცილების ვალდებულება.

5.3. ანტიკორუფციული კანონმდებლობით განსაზღვრული ვალდებულებები

მუნიციპალიტეტის საკრებულოს თანამდებობის პირის თანამდებობრივი შეუთავსებლობის საკითხები წესრიგდება „საჯარო დაწესებულებაში ინტერესთა შეუთავსებლობისა და კორუფციის შესახებ“ საქართველოს კანონით.

ანტიკორუფციული პოლიტიკა პრევენციულ ღონისძიებებზე უნდა იყოს ორიენტირებული, ხოლო ეროვნული ანტიკორუფციული სტრატეგია ქვეყნის წინაშე კორუფციის წინააღმდეგ ბრძოლის კუთხით იდენტიფიცირებული გამოწვევების ეფექტიანი გადაჭრისა და კორუფციული რისკების შემცირებისაკენ არის მიმართული.

კორუფციის პრევენცია, ანგარიშვალდებული და გამჭვირვალე სახელმწიფო უწყებათა ჩამოყალიბება განსაკუთრებით მნიშვნელოვანია საქართველოსათვის ევროინტეგრაციის გზაზე.

ფართო გაგებით, ანტიკორუფციულ კანონმდებლობად შეიძლება მოვიაზროთ ყველა ის სამართლებრივი აქტი, რომელიც ხელს უწყობს ეფექტიანი და იმავდროულად, თანაზომიერ შეზღუდვებზე დაფუძნებული ანტიკორუფციული სამართლებრივი რეგულაციების დანერგვას.

ანტიკორუფციული კანონმდებლობის მარეგულირებელი კანონმდებლობა მოიცავს „საჯარო დაწესებულებაში ინტერესთა შეუთავსებლობისა და კორუფციის შესახებ“ 1997 წლის 17 ოქტომბერს მიღებულ კანონს და მისგან გამომდინარე კანონქვემდებარე აქტებს, მათ შორის საჯარო სამსახურში ეთიკისა და ქცევის ზოგადი წესების მარეგულირებელ საქართველოს მთავრობის დადგენილებას.

ინტერესთა შეუთავსებლობა საჯარო სამსახურში არის კერძო და საჯარო ინტერესების დაპირისპირება. კანონის მიერ ამ საკითხის მკაცრად დარეგულირება განპირობებულია იმ გარემოებით, რომ ინტერესთა შეუთავსებლობა მნიშვნელოვანი საფრთხის მომტანი შეიძლება გახდეს სახელმწიფოსა და თვით საჯარო მმართველობისთვის.

უპირველეს ყოვლისა, სწორედ ინტერესთა შეუთავსებლობა შეიძლება გახდეს მიზეზი იმისა, რომ სათანადოდ არ მოხდეს საჯარო ინტერესის გათვალისწინება. ვინაიდან თანამდებობის პირი თავის პირად/კერძო ინტერესებს ანიჭებს უპირატესობას და შედეგად, დგება ინტერესთა კონფლიქტის, ან კორუფციის საფრთხე.

ინტერესთა შეუთავსებლობის საკითხებთან დაკავშირებული დარღვევების ყველაზე რთული ფორმა კორუფციული სამართალდარღვევაა. ასეთ შემთხვევაში, საქმე გვაქვს სისხლის სამართლის კანონით გათვალისწინებულ დანაშაულებთან, რაზეც სახელმწიფოს მხრიდან უმკაცრესი რეაგირებაა აუცილებელი.

5.4. დეკლარაციის წარდგენის ვალდებულება

„საჯარო დაწესებულებაში ინტერესთა შეუთავსებლობისა და კორუფციის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-2 მუხლი ადგენს იმ თანამდებობის პირთა ჩამონათვალს, რომლებსაც გააჩნიათ თანამდებობის პირთა ქონებრივი დეკლარაციის ყოველწლიურად წარდგენის ვალდებულება. ქონებრივი დეკლარაციის წარდგენის ვალდებულება წარმოადგენს ანგარიშვალდებულების, ღიაობის და გამჭვირვალობის, საჯარო სამსახურში მიუკერძოებლობის დამკვიდრების საფუძველს და ქმნის ერთგვარ სურათს თანამდებობის პირის კეთილსინდისიერების შესახებ, რაც არის თანამდებობის პირის მიმართ საზოგადოების დამოკიდებულების ფორმირების საფუძველი. ღია, გამჭვირვალე და სწორი გაცხადება ქონებრივი მდგომარეობის შესახებ ინფორმაციის, კორუფციული სამართალდარღვევების პრევენციას, ინტერესთა შეუთავსებლობისა და ინტერესთა კონფლიქტების აღკვეთას ემსახურება. მართალია, თანამდებობის პირის ქონებრივი მდგომარეობის დეკლარაციას ყოველწლიურად გარდა პოლიტიკური თანამდებობის პირებისა სხვა თანამდებობის პირებიც ავსებენ, თუმცა საზოგადოების მხრიდან მაღალ ინტერესს სწორედ სახელმწიფო-პოლიტიკური თანამდებობის პირთა მიერ დეკლარირებული ინფორმაცია იპყრობს. აღნიშნული განპირობებული იმით ფაქტორით, რომ საზოგადოება სახელმწიფო-პოლიტიკური თანამდებობის პირების უმეტესობის თანამდებობებზე განწესებაში თავად იღებს მონაწილეობას არჩევნების საშუალებით.

ნებისმიერი თანამდებობის პირი ვალდებულია თანამდებობაზე დანიშვნიდან ორი თვის ვადაში შეავსოს ქონებრივი მდგომარეობის დეკლარაცია და გაასაჯაროოს მისი და მისი ოჯახის წევრების შემოსავლები, უძრავი და მოძრავი ქონება, შეთავსებადი საქმიანობის შეახებ ინფორმაცია, განაცხადოს ქონებრივი ინტერესები და სხვა. დეკლარაციების შევსება დღეისათვის, გამარტივებული მექანიზმით - ელექტრონულად, ID ბარათითა და ელექტრონული ხელმოწერით არის შესაძლებელი.

ქონებრივი მდგომარეობის დეკლარაციის შევსების ვალდებულება თანამდებობის პირს აქვს ყოველწლიურად უფლებამოსილების განხორციელების პერიოდის განმავლობაში. ეს ვალდებულება სრულდება გათავისუფლებიდან ერთი წლის განმავლობაში. კანონმდებლის აღნიშნული მიდგომა კიდევ ერთხელ უსვამს ხაზს ინტერესთა კონფლიქტების პრევენციას და კორუფციული სამართალდარღვევების თავიდან აცილების მიზანს.

5.5. რეგულაციები ოჯახის წევრების მიმართ

მნიშვნელოვანია, რომ კანონმდებლობას დამატებით შემოაქვს თანამდებობის პირის ოჯახის წევრის შესახებ რეგულაციები. თანამდებობის პირსა და მისი ოჯახის წევრს შორის რა თქმა უნდა არის პიროვნული კავშირები, ამიტომ ამგვარი რეგულაცია მიუთითებს სახელმწიფოს მცდელობაზე, წინასწარ მიიღოს ზომები, რათა არ მოხდეს საჯარო ინტერესებში კერძო/ პირადი ინტერესების შემოჭრა, რამაც შესაძლებელია თანამდებობის პირი სუბიექტური და არაკეთილსინდისიერი გადაწყვეტილებების მიღებამდე მიიყვანოს.

აღნიშნული პრინციპი ითვალისწინებს ერთი მხრივ, საქმიანობის შეზღუდვას, პირდაპირ ქვემდებარეობის შემთხვევაში, ხოლო მეორეს მხრივ, პოლიტიკური თანამდებობის პირის ოჯახის წევრების შესახებ ინფორმაციის გასაჯაროებას დეკლარაციაში.

პირველი შეზღუდვა განპირობებულია ოჯახის წევრის სამსახურებრივი მდგომარეობიდან. სწორედ, იმის გამო, რომ ოჯახის წევრზე, ან ახლო ნათესავზე პოლიტიკური თანამდებობის პირს ეკრძალება ზედამხედველი ფუნქციის განხორციელება.

„ახლო ნათესავში“ იგულისხმება პირის ოჯახის წევრი, პირდაპირი აღმავალი და დაღმავალი შტოს ნათესავი, გერი, და, ძმა, აგრეთვე მშობლის და შვილის გერები.

ზოგადად, ინტერესთა შეუთავსებლობად მიიჩნევა ნებისმიერი ფორმის სამსახურებრივი დაქვემდებარება თანამდებობის პირსა და მის ახლო ნათესავს შორის. თუმცა, არსებობს გამონაკლისი, როდესაც თანამდებობის პირის ოჯახის წევრი, ახლო ნათესავი ან/და პირიქით, აღნიშნულ პოზიციას დაიკავებს კონკურსის წესით. ასეთ შემთხვევაში, კანონის თანახმად, ინტერესთა შეუთავსებლობას ადგილი არ აქვს.

თანამდებობის პირებთან დაკავშირებით დაწესებულია დამატებითი რეგულაციები, პირველის თანახმად - თანამდებობის პირს, მისი ოჯახის წევრს, უფლება არა აქვთ, ეკავოთ რაიმე თანამდებობა, ან ასრულებდნენ რაიმე სამუშაოს საქართველოში რეგისტრირებულ იმ საწარმოში, რომლის სამეწარმეო საქმიანობის კონტროლიც ამ თანამდებობის პირის, ან მისი სამსახურის უფლებამოსილებაა. აღნიშნული აკრძალვით ხდება რისკების შემცირება, რათა არ მოხდეს კერძო და საჯარო ინტერესების კონფლიქტი.

მეორე შეზღუდვა ეხება მსგავს, დაქვემდებარებაში არსებული საწარმოს წილებისა, ან/და აქციების ფლობას. თანამდებობის პირს, მისი ოჯახის წევრს, უფლება არა აქვთ ფლობდნენ აქციებს, ან კაპიტალის წილს იმ საწარმოში, რომლის საქმიანობის კონტროლიც ამ თანამდებობის პირის, ან მისი სამსახურის უფლებამოსილებას განეკუთვნება.

ეთიკისა და ქცევის ზოგადი წესები ავალდებულებს საჯარო მოსამსახურეს, დაიცვას მიუკერძოებლობისა და ობიექტურობის პრინციპები და არ დააყენოს პირადი/კერძო ინტერესები საჯარო ინტერესების წინ. სწორედ ამ ბალანსის მიღწევის გამო არეგულირებს კანონმდებლობა პოლიტიკური თანამდებობის პირის, მის მიერ ნებისმიერი ფორმით უფლებამოსილების განხორციელებისას ოჯახის წევრთან, ან/და ახლო ნათესავთან ურთიერთობას.

ოჯახის წევრებს შორის განსაკუთრებით მჭიდრო კავშირის გამო, მნიშვნელოვანია, რომ დეკლარაციების გასაჯაროვებისას საზოგადოებისათვის ცნობილი იყოს არა მხოლოდ ის, თუ რა შემოსავლები გააჩნდა თანამდებობის პირს წლის განმავლობაში და რა ქონება შეიძინა თანამდებობაზე ყოფნის პერიოდში, არამედ მისი და მის ოჯახის წევრების ქონებრივი მდგომარეობაც, მათ შორის ოჯახის წევრის სამეწარმეო საქმიანობის მონაცემები.[6]

5.6. შეუთავსებელი და შეთავსებადი საქმიანობის უფლება

მნიშვნელოვანია, სტატუსის მიხედვით ერთმანეთისგან გაიმიჯნოს მუნიციპალიტეტის საკრებულოს წევრი და მუნიციპალიტეტის საკრებულოს თანამდებობის პირი.

მუნიციპალიტეტის საკრებულოს წევრი თავის უფლებამოსილებას ახორციელებს სამსახურებრივი საქმიანობისაგან მოუწყვეტლად და უსასყიდლოდ. თუმცა, უფლებამოსილების განხორციელებასთან დაკავშირებული ხარჯების ანაზღაურების წესი, განისაზღვრება მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილებით.

მხოლოდ მუნიციპალიტეტის საკრებულოს თანამდებობის პირის საქმიანობაა ანაზღაურებადი. აღნიშნული დადგენილია „საჯარო დაწესებულებაში შრომის ანაზღაურების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-4 დანართით.

---

6. თანამდებობის პირის ქონებრივი მდგომარეობის დეკლარაციის ტექნიკურად სწორად შევსების ინსტრუქცია, იხილეთ აქ: http://www.csb.gov.ge/media/1055/%E1%83%98%E1%83%9C%E1%83%A1%E1%83%A2%E1%83%A0%E1%83%A3%E1%83%A5%E1%83%AA%E1%83%98%E1%83%90.pdf

პოლიტიკური თანამდებობის პირების თანამდებობრივი სარგოს ზედა ზღვრის კოეფიციენტი

პოლიტიკური თანამდებობის პირები	თანამდებობრივი სარგოს ზედა ზღვრის კოეფიციენტი
ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერი	8.50
ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარე	8.50
ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერის პირველი მოადგილე	7.5
სახელმწიფო რწმუნებული	7.25
ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერის მოადგილე	7.25
ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარის პირველი მოადგილე	6.5
ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარის მოადგილე	6.00
სახელმწიფო რწმუნებულის პირველი მოადგილე	5.50
სახელმწიფო რწმუნებულის მოადგილე	5.00
ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს კომისიის/ფრაქციის თავმჯდომარე	5.00
ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ფრაქციის თავმჯდომარის მოადგილე	4.00

მუნიციპალიტეტების (გარდა ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტისა) პოლიტიკური თანამდებობის პირები	თანამდებობრივი სარგოს ზედა ზღვრის კოეფიციენტი
აღმასრულებელი ორგანოს ხელმძღვანელი	6.0
საკრებულოს თავმჯდომარე	6.0
აღმასრულებელი ორგანოს ხელმძღვანელის პირველი მოადგილე	5.0
საკრებულოს თავმჯდომარის პირველი მოადგილე	5.0
აღმასრულებელი ორგანოს ხელმძღვანელის მოადგილე	4.5
საკრებულოს თავმჯდომარის მოადგილე	4.5
საკრებულოს კომისიის/ფრაქციის თავმჯდომარე	4.5
საკრებულოს ფრაქციის თავმჯდომარის მოადგილე	2.5

აქედან გამომდინარე, თანამდებობრივი შეუთავსებლობის საკითხი პოლიტიკური თანამდებობის პირის (მერი, მერის მოადგილეები, საკრებულოს თავმჯდომარე, მისი მოადგილეები და კომისიის თავმჯდომარე, ფრაქციის თავმჯდომარე და მისი მოადგილე) და საკრებულოს წევრის შემთხვევაში სხვადასხვაგვარად არის დადგენილი.

საკრებულოს თანამდებობის პირის თანამდებობრივი შეუთავსებლობის საკითხები წესრიგდება „საჯარო დაწესებულებაში ინტერესთა შეუთავსებლობისა და კორუფციის შესახებ“ საქართველოს კანონით, ხოლო საკრებულოს წევრის -ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსით.

მიუხედავად იმისა რომ **საკრებულოს წევრი** თავის უფლებამოსილებას სამსახურებრივი საქმიანობისაგან მოუწყვეტლად ახორციელებს, მას უფლება არ აქვს იმავდროულად:

იყოს სხვა წარმომადგენლობითი ორგანოს წევრი	ეკავოს „საჯარო დაწესებულებაში ინტერესთა შეუთავსებლობისა და კორუფციის შესახებ“ საქართველოს კანონით გათვალისწინებული თანამდებობის პირის თანამდებობა, გარდა მუნიციპალიტეტის საკრებულოს თანამდებობის პირის თანამდებობისა	ეკავოს თანამდებობა, რომელზედაც პირს ირჩევს ან პირის დანიშვნაზე თანხმობას იძლევა საქართველოს პარლამენტი
ეკავოს თანამდებობა, რომელზედაც პირს ნიშნავს საქართველოს პრეზიდენტი ან საქართველოს პრემიერ-მინისტრი	ეკავოს თანამდებობა, რომელზედაც პირს ირჩევენ, ნიშნავენ ან ამტკიცებენ აფხაზეთისა და აჭარის ავტონომიური რესპუბლიკების უმაღლესი წარმომადგენლობითი ორგანოები	იმუშაოს სასამართლო ხელისუფლებისა და პროკურატურის ორგანოებში, სახელმწიფო აუდიტის სამსახურში, საქართველოს შინაგან საქმეთა და თავდაცვის სამინისტროების და საქართველოს სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახურის სისტემაში
იყოს საქართველოს საარჩევნო ადმინისტრაციის მოხელე	იმუშაოს იმ ადმინისტრაციულ ორგანოში, რომელიც საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად სახელმწიფო ზედამხედველობას უწევს მუნიციპალიტეტის ორგანოებს	იმუშაოს მუნიციპალიტეტის საკრებულოს აპარატსა და მერიაში
მონაწილეობა მიიღოს მუნიციპალიტეტის (მუნიციპალიტეტების) საწარმოს (საწარმოების) მართვაში (იყოს დირექტორი, დირექტორის მოადგილე, სამეთვალყურეო ან დირექტორთა საბჭოს წევრი და სხვა), აგრეთვე იყოს შესაბამისი მუნიციპალიტეტის ბიუჯეტით დაფინანსებული დაწესებულების დირექტორი ან დირექტორის მოადგილე		იმუშაოს სხვა ქვეყნის საჯარო სამსახურში

ხოლო პოლიტიკური თანამდებობის პირების (სახელმწიფო რწმუნებული, მისი მოადგილე, მუნიციპალიტეტის საკრებულოს თანამდებობის პირი, მერი, მერი მოადგილე) მიმართ ვრცელდება „საჯარო დაწესებულებაში ინტერესთა შეუთავსებლობისა და კორუფციის შესახებ“ საქართველოს კანონით გათვალისწინებული რეგულაციები:

- თანამდებობის პირს, მისი ოჯახის წევრს უფლება არა აქვთ, ეკავოთ რაიმე თანამდებობა ან ასრულებდნენ რაიმე სამუშაოს საქართველოში რეგისტრირებულ იმ საწარმოში, რომლის სამეწარმეო საქმიანობის კონტროლიც ამ თანამდებობის პირის ან მისი სამსახურის უფლებამოსილებას განეკუთვნება.
- თანამდებობის პირს, მისი ოჯახის წევრს უფლება არა აქვთ, ფლობდნენ აქციებს ან კაპიტალის წილს იმ საწარმოში, რომლის საქმიანობის კონტროლიც ამ თანამდებობის პირის ან მისი სამსახურის უფლებამოსილებას განეკუთვნება.
- არ შეიძლება თანამდებობის პირის სამსახურებრივი ზედამხედველობის ქვეშ მყოფ თანამდებობაზე მოხელედ, ადმინისტრაციული ხელშეკრულებით ან შრომითი ხელშეკრულებით დაინიშნოს (გარდა კონკურსის წესით დანიშვნისა) ამ თანამდებობის პირის ახლო ნათესავი.
- თანამდებობის პირი, მისი ოჯახის წევრი ვალდებულია ამ თანამდებობის პირის მიერ თანამდებობის დაკავებიდან 10 დღის ვადაში, თუ საქართველოს კონსტიტუციით ან კანონით სხვა რამ არ არის გათვალისწინებული, გადადგეს შეუთავსებელი თანამდებობიდან, შეწყვიტოს შეუთავსებელი საქმიანობა.
- თანამდებობის პირი თავისი და თავისი ოჯახის წევრის შეუთავსებლობის აღმოფხვრის დამადასტურებელ დოკუმენტებს წარუდგენს იმ ზემდგომ თანამდებობის პირს (ორგანოს), რომლის უშუალო დაქვემდებარებაშიც იგი იმყოფება, აგრეთვე ადამიანური რესურსების მართვის ერთეულს.

თანამდებობის პირი, თუ საქართველოს კონსტიტუციით ან ორგანული კანონით სხვა რამ არ არის გათვალისწინებული, უნდა განთავისუფლდეს დაკავებული თანამდებობიდან, თუ:

ა) მან ან მისმა ოჯახის წევრმა დაარღვია კანონით დადგენილი თანამდებობრივი შეუთავსებლობის მოთხოვნები;
ბ) სასამართლო გადაწყვეტილებით დადასტურდა, რომ იგი უკანონო ან/და დაუსაბუთებელი ქონების მფლობელია.

5.7. ადმინისტრაციული გადაცდომა/ჯარიმა

ინტერესთა შეუთავსებლობის წინააღმდეგ ბრძოლის მექანიზმებიდან, უპირველეს ყოვლისა, აღსანიშნავია დისციპლინური წარმოების დაწყება იმ პირის მიმართ, რომელმაც ჩაიდინა ინტერესთა შეუთავსებლობის მარეგულირებელი ნორმებით აკრძალული ქმედება, რომლის დადასტურების შემთხვევაშიც დგება დისციპლინური პასუხისმგებლობა.

აღნიშნულს იწვევს ეთიკის ნორმებისა და ქცევის ზოგადი წესების უგულებელყოფა, ან დარღვევა. გამომდინარე დარღვევის ხარისხიდან და დამდგარი შედეგიდან, შესაძლებელია ეს დარღვევა მძიმე კატეგორიის გადაცდომად ჩაითვალოს.

აღსანიშნავია, რომ საჯარო სამსახურის ბიუროს მიერ ხორციელდება თანამდებობის პირთა ქონებრივი მდგომარეობის დეკლარაციების მონიტორინგი. სწორედ მონიტორინგის პროცესში ხდება დეკლარაციაში არსებული ინფორმაციის გადამოწმება და თანამდებობის პირის მიერ არასწორი ან არასრული ინფორმაციის წარდგენის შემთხვევაში, შესაბამისი სამართლებრივი რეაგირება. თანამდებობის პირთა დეკლარაციაში არსებული დარღვევების ხარისხიდან გამომდინარე, არსებობს განსხვავებული სანქციები და რეაგირების განსხვავებული ზომები:

- თუ დარღვევის ხარისხი უმნიშვნელოა, კანონმდებლობით იგი განისაზღვრება, როგორ არაარსებითი დარღვევა და ასეთ შემთხვევაში ბიურო უარყოფითად აფასებს დეკლარაციას და ბიუროს უფროსის განკარგულებით აფრთხილებს თანამდებობის პირს. დარღვევის განმეორების შემთხვევაში თანამდებობის პირი ჯარიმდება;
- თუ დარღვევის ხარისხი მნიშვნელოვანია, ასეთ შემთხვევაში ბიურო იღებს გადაწყვეტილებას დეკლარაციის უარყოფითად შეფასების შესახებ, დეკლარაციაში არსებითი დარღვევის არსებობის თაობაზე და გამოსცემს განკარგულებას თანამდებობის პირის დაჯარიმებაზე. ჯარიმის ოდენობა არის თანამდებობის პირის თანამდებობრივი სარგოს 20%, მაგრამ არანაკლებ 500 ლარისა;
- დეკლარაციის მონიტორინგის პროცესში ბიუროს მიერ პირის ქმედებაში დანაშაულის სავარაუდო ნიშნების აღმოჩენის შემთხვევაში, ბიურო შესაბამის დეკლარაციასა და წარმოების მასალებს შემდგომი რეაგირებისათვის უგზავნის სათანადო სამართალდამცავ ორგანოს.

5.8. ეთიკის ნორმების დარღვევა

თანამედროვე მსოფლიოში ეთიკის საკითხები პოლიტიკისა და სახელმწიფოს მართვაში ძალიან მნიშვნელოვანია. მაშინაც კი, როდესაც მთელ რიგ საკითხებთან დაკავშირებით საზოგადოებაში და ხელისუფლებაში განსხვავებულ შეხედულებებს ვხვდებით, მიდგომა ეთიკური შემთხვევების მიმართ ხშირად ერთგვაროვანია. სწორედ ეთიკური პრინციპები და ღირებულებები ქმნიან იმ პირობით ჩარჩოს, რომლის თანახმადაც განისაზღვრება, რა ქმედება ითვლება მართებულად და იმავდროულად ეთიკურად პოლიტიკური თანამდებობების პირთა მიერ მათი უფლებამოსილებების განხორციელებისას.

ეთიკა იმ მორალური პრინციპების ერთობლიობას წარმოადგენს, რომლებიც ქმნიან ადამიანთა ქცევის საფუძველს. სხვაგვარად, ის ფასეულობების, პრინციპების და სტანდარტების ერთობლიობაა, რომელიც თანამდებობის პირს მორალური მოქმედების მიმართულებას აძლევს.

ეთიკა არის ერთ-ერთი ძირითადი ღირებულება, რომლის დაცვაც ძალზე მნიშვნელოვანია მთელი რიგი პროფესიის ადამიანებისათვის. განსაკუთრებით კი პოლიტიკაში, საჯარო მმართველობით სფეროში, სასამართლო პროცესის დროს, ბიზნესში, მედიცინაში, განათლებაში, მეცნიერებაში, ხელოვნებაში, მედიასა და პრესაში.

პოლიტიკური თანამდებობის პირების მიერ მათი უფლებამოსილებების განხორციელების პროცესში ეთიკური ქცევის პრინციპების დაცვა განსაკუთრებით მნიშნელოვანია მაღალი პოლიტიკური კულტურის და სწორი მმართველობითი ქცევის დასამკვიდრებლად. პოლიტიკური თანამდებობის პირის დაუფიქრებელი განცხადება, მაგალითად სიძულვილის ენის გამოყენება, საფრთხეს უქმნის საზოგადოების უსაფრთხოებას და სახელმწიფო ინტერესებს.

სიძულვილის ენა არის გამოხატვის ისეთი ფორმა, რომელიც ხელს უწყობს მკვეთრად უარყოფითი დამოკიდებულების დამკვიდრებას ამა თუ იმ ნიშნით განსხვავებული ჯგუფების მიმართ; იგი ხელს უწყობს სიძულვილს, დისკრიმინაციას, მტრულ დამოკიდებულებას მათ მიმართ.

ყველა არაეთიკური ქმედება, უფლებამოსილების ბოროტად გამოყენებისა და კორუფციის შემთხვევები ამცირებენ საზოგადოების ნდობის ხარისხს სახელმწიფო ინსტიტუტების მიმართ. ასეთი ქმედებები არ არის თავსებადი თანამედროვე სახელმწიფოსთან. საპირისპიროდ, დემოკრატიული მმართველობა სწორედ საზოგადოების მხრიდან თანამდებობის პირების მიმართ ნდობას ეფუძნება.

5.9. პოლიტიკური თანამდებობის პირების სისხლის სამართლებრივი პასუხისმგებლობა

ანტიკორუფციული კანონმდებლობის დარღვევების ყველაზე რთული ფორმა კორუფციული სამართალდარღვევაა. ასეთ შემთხვევაში საკითხი ცდება ეთიკის კოდექსს, დისციპლინარულ გადაცდომასა და ადმინისტრაციულ სახდელს, და საქმე გვაქვს სისხლის სამართლის კანონმდებლობით გათვალისწინებულ დანაშაულებთან, რაზეც სახელმწიფოს მხრიდან საკმაოდ მკაცრი რეაგირების ფორმები არის გათვალისწინებული.

მაგალითად, საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 39-ე თავით, 332-340 მუხლებით დასჯადია ე. წ. სამოხელეო დანაშაულები, როგორიცაა მაგალითად სამსახურებრივი უფლებამოსილების ბოროტად გამოყენება, განმარტების, ჩვენების, ან დასკვნის მიცემის იძულება, ქრთამის აღება, ზეგავლენით ვაჭრობა, კანონით აკრძალული საჩუქრის მიღება.

გასათვალისწინებელია, რომ საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსი პოლიტიკური თანამდებობის პირის მიერ დანაშაულის ჩადენას, სხვა სახელმწიფო მოსამსახურეებისგან განსხვავებით, დამამძიმებელ გარემოებად თვლის. ამ ფაქტორს განაპირობებს სწორედ ის ნდობა, რომელიც პოლიტიკური თანამდებობის პირმა ამომრჩევლისგან პირდაპირ ან არაპირდაპირი მიიღო. შესაბამისად, ამ ნდობის ბოროტად გამოყენება განსაკუთრებით მკაცრად ისჯება. სწორედ ამ პრინციპიდან გამომდინარე, სამოხელეო დანაშაულის მუხლები ვრცელდება არამხოლოდ სახელწიფო-პოლიტიკური თანამდებობის პირებზე, არამედ ასევე პოლიტიკური თანამდებობის პირებზე.

6. საჯარო სამსახურის ბიუროს მიერ პოლიტიკური თანამდებობის პირების მხარდაჭერა

დეკლარაციის წარდგენა	„საჯარო დაწესებულებაში ინტერესთა შეუთავსებლობისა და კორუფციის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-14 მუხლის პირველი პუნქტის თანახმად, თანამდებობაზე განწესებიდან ორი თვის ვადაში პირი ვალდებულია საჯარო სამსახურის ბიუროში წარადგინოს თანამდებობის პირის ქონებრივი მდგომარეობის დეკლარაცია. ამავე მუხლის მე-2 პუნქტის თანახმად, თანამდებობის პირი ვალდებულია თანამდებობაზე ყოფნის განმავლობაში ყოველწლიურად, წინა დეკლარაციის შევსების თვის შესაბამისი თვის განმავლობაში შეავსოს და წარადგინოს თანამდებობის პირის ქონებრივი მდგომარეობის დეკლარაცია. გარდა ამისა, პირი ვალდებულია შეავსოს და წარადგინოს თანამდებობის პირის ქონებრივი მდგომარეობის დეკლარაცია თანამდებობიდან გათავისუფლებიდან 2 თვის ვადაში, თუ მას თანამდებობიდან გათავისუფლების კალენდარული წლის განმავლობაში წარდგენილი არ ჰქონდა დეკლარაცია, აგრეთვე თანამდებობიდან გათავისუფლების მომდევნო წელს, წინა დეკლარაციის შევსების თვის შესაბამისი, იმავე თვის განმავლობაში, თუ იგი სხვა თანამდებობაზე არ განწესდება. საჯარო სამსახურის ბიურო თანამდებობის პირებს სთავაზობს კონსულტაციას დეკლარაციის შევსების პროცესში როგორც ცხელი ხაზის (2 19 28 28), ასევე ონლაინ დახმარების მეშვეობით, რაც მოიცავს ქონებრივი დეკლარაციის ელექტრონული ფორმის შევსებაში ტექნიკურ დახმარებას, ასევე დეკლარაციაში შესატანი ინფორმაციის შინაარსობრივ საკითხებზე მეთოდოლოგიურ დახმარებას.
დეკლარაციის შევსების წესი	თანამდებობის პირის ქონებრივი მდგომარეობის დეკლარაციის შევსების წესი განსაზღვრულია : 1. „საჯარო დაწესებულებაში ინტერესთა შეუთავსებლობისა და კორუფციის შესახებ“ საქართველოს კანონში 2. საქართველოს მთავრობის დადგენილება №178-ში < http://37.46.104.203/media/2937/178.pdf > 3. თანამდებობის პირის ქონებრივი მდგომარეობის დეკლარაციის ტექნიკურად სწორად შევსების ინსტრუქციაში < http://37.46.104.203/media/3211/645978.pdf >
შევსებულ დეკლარაციაში ცვლილებების ასახვა	თანამდებობის პირს შეუძლია ჩაბარებული დეკლარაციის რედაქტირება ჩაბარებიდან 48 საათის განმავლობაში, თუ იგი აღმოაჩენს რაიმე უზუსტობას ან დასჭირდება ცვლილების განხორციელება. დეკლარაციაში ცვლილების ასახვის წესს განსაზღვრავს თანამდებობის პირის ქონებრივი მდგომარეობის დეკლარაციის ტექნიკურად სწორად შევსების ინსტრუქცია (მე-19 მუხლი) და „საჯარო დაწესებულებაში ინტერესთა შეუთავსებლობისა და კორუფციის შესახებ“ საქართველოს კანონი (მე-14 მუხლის მე-12, მე-13 პუნქტები).

თანამდებობის პირის გათავისუფლების შესახებ საჯარო სამსახურის ბიუროსთვის შეტყობინების ვალდებულება	„საჯარო დაწესებულებაში ინტერესთა შეუთავსებლობისა და კორუფციის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-14 მუხლის მე-10 პუნქტის თანახმად, შესაბამისი საჯარო დაწესებულების ადამიანური რესურსების მართვის ერთეულის ხელმძღვანელი ან საამისოდ უფლებამოსილი პირი ვალდებულია სათანადო ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის გამოცემიდან არაუგვიანეს 7 სამუშაო დღისა წერილობით მიაწოდოს ბიუროს ინფორმაცია პირის სადეკლარაციო თანამდებობაზე განწესების ან სადეკლარაციო თანამდებობიდან განთავისუფლების შესახებ. ამ ვალდებულების შეუსრულებლობის შემთხვევაში, ბიუროს უფროსი ამის შესახებ აცნობებს შესაბამისი საჯარო დაწესებულების ხელმძღვანელს, რაც შესაძლებელია გახდეს ადამიანური რესურსების მართვის ერთეულის ხელმძღვანელისთვის ან საამისოდ უფლებამოსილი პირისთვის დისციპლინური პასუხისმგებლობის დაკისრების საფუძველი.
დეკლარაციის მონიტორინგი	„საჯარო დაწესებულებაში ინტერესთა შეუთავსებლობისა და კორუფციის შესახებ“ საქართველოს კანონის 18[1] მუხლი ადგენს თანამდებობის პირის ქონებრივი მდგომარეობის დეკლარაციის მონიტორინგის დაწყების საფუძვლებს: 1. თანამდებობის პირთა ქონებრივი მდგომარეობის დეკლარაციების ერთიანი ელექტრონული სისტემის მიერ თანამდებობის პირების შემთხვევითი შერჩევა; 2. დასაბუთებული წერილობითი განცხადება.
დეკლარაციის მონიტორინგის პროცედურა	„საჯარო დაწესებულებაში ინტერესთა შეუთავსებლობისა და კორუფციის შესახებ“ საქართველოს კანონის 18[1] მუხლის მე-8 პუნქტის თანახმად, თანამდებობის პირის ქონებრივი მდგომარეობის დეკლარაციის მონიტორინგის დაწყების შემთხვევაში, ბიურო შესაბამის თანამდებობის პირს საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით აცნობებს მონიტორინგის დაწყების შესახებ და განუსაზღვრავს 10 სამუშაო დღის ვადას მონიტორინგისათვის საჭირო ინფორმაციისა და დოკუმენტაციის (მათ შორის, საბანკო ან/და სხვა საკრედიტო დაწესებულებიდან) და საკუთარი მოსაზრების წარმოსადგენად. **თანამდებობის პირის ქონებრივი მდგომარეობის დეკლარაციის მონიტორინგი ხორციელდება:** ✓ შევსებულ დეკლარაციაში არსებული მონაცემების სისწორის საჯარო დაწესებულებების მიერ ადმინისტრირებულ ელექტრონულ ბაზებში გადამოწმებით; ✓ თანამდებობის პირის მიერ ბიუროსთვის წარდგენილი ან/და სხვა წერილობითი მტკიცებულების გადამოწმებით; ✓ საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის მე-16–მე-19 მუხლებით გათვალისწინებული ადმინისტრაციული ორგანოების ურთიერთდახმარების ვალდებულების შესრულებით.

ადამიანური რესურსების მართვა	საჯარო სამსახურში **კონკურსის გამოცხადება** რეგულირდება შემდეგი სამართლებრივი აქტებით: ✓ „საჯარო სამსახურის შესახებ“ საქართველოს კანონი < http://37.46.104.203/media/3110/sajaros-kanoni.pdf > ✓ საქართველოს მთავრობის №204 დადგენილება < http://37.46.104.203/media/2783/n204.pdf > ✓ საქართველოს მთავრობის №218 დადგენილება < http://37.46.104.203/media/2775/n218.pdf > „საჯარო სამსახურის შესახებ“ საქართველოს კანონის 35-ე მუხლი ადგენს მოხელის ვაკანტური თანამდებობის დასაკავებლად კონკურსის გამოცხადების წესს. აღნიშნული მუხლის პირველი პუნქტის თანახმად, საჯარო დაწესებულება კონკურსს აცხადებს საჯარო სამსახურის ბიუროს მიერ ადმინისტრირებული ვებგვერდის - www.hr.gov.ge - ის მეშვეობით. კონკურსის გამოცხადების შესახებ შეტყობინება უნდა შეიცავდეს: ✓ ვაკანტური თანამდებობისათვის დადგენილ სამუშაო აღწერილობას ✓ კანდიდატის მიერ ვაკანტური თანამდებობის დასაკავებლად საჭირო მოთხოვნებსა და კვალიფიკაციას (კანდიდატის როგორც პიროვნული უნარ-ჩვევების, ისე პროფესიული გამოცდილების ამსახველი დოკუმენტაციის ჩამონათვალს). საქართველოს მთავრობის №204 დადგენილება ადგენს საჯარო სამსახურში კონკურსის ჩატარების წესს, კონკურსის სახეებს, ხოლო საქართველოს მთავრობის №218 დადგენილებით რეგულირდება მოხელის თანამდებობების თითოეული იერარქიული რანგისათვის დადგენილი აუცილებელი სპეციალური მოთხოვნები. მოხელის **პროფესიულ განვითარებასთან** დაკავშირებული საკითხები რეგულირდება: ✓ „საჯარო სამსახურის შესახებ“ საქართველოს კანონით < http://37.46.104.203/media/3110/sajaros-kanoni.pdf > ✓ საქართველოს მთავრობის N242 დადგენილებით < http://37.46.104.203/media/2796/profes.pdf > ✓ საქართველოს მთავრობის N246 დადგენილებით < http://37.46.104.203/media/2776/n246.pdf > „საჯარო სამსახურის შესახებ“ საქართველოს კანონის 54-ე მუხლის თანახმად, მოხელე ვალდებულია, საჯარო სამსახურის მიზნებიდან გამომდინარე, განავითაროს საკუთარი პროფესიული შესაძლებლობები საჯარო სამსახურის მიერ შეთავაზებულ მოხელის პროფესიული განვითარების პროგრამებში მონაწილეობით. თავის მხრივ, საჯარო დაწესებულება მოხელის პროფესიული განვითარების საჭიროებას განსაზღვრავს ყოველი წლის დასაწყისში, საქართველოს მთავრობის №242 დადგენილებით დამტკიცებული პროფესიული განვითარების სტანდარტის საფუძველზე, დაწესებულების საჭიროებების ანალიზისა და მოხელეთა შეფასების შედეგების შესაბამისად. მოხელის მიერ პროფესიული განვითარებისათვის შვებულებით სარგებლობის წესი რეგულირდება საქართველოს მთავრობის №246 დადგენილებით.

	პროფესიული საჯარო **მოხელის შეფასების** წესი რეგულირდება შემდეგი სამართლებრივი აქტებით: ✓ „საჯარო სამსახურის შესახებ“ საქართველოს კანონი < http://37.46.104.203/media/3110/sajaros-kanoni.pdf > ✓ საქართველოს მთავრობის №220 დადგენილება < http://37.46.104.203/media/1654/shefaseba-n220.pdf > „საჯარო სამსახურის შესახებ“ საქართველოს კანონის 53-ე მუხლის პირველი პუნქტი ადგენს საჯარო დაწესებულების მიერ ყველა იერარქიული რანგის თანამდებობაზე მომუშავე მოხელის შეფასების ვალდებულებას წელიწადში ერთხელ, საქართველოს მთავრობის №220 დადგენილებით განსაზღვრული წესის შესაბამისად. მოხელის შეფასების შედეგების შესაბამისად წესდება მოხელის წახალისების შემდეგი ფორმები: ✓ მადლობის გამოცხადება; ✓ ფულადი ჯილდოს მიცემა; ✓ ფასიანი საჩუქრის მიცემა. პროფესიული საჯარო მოხელის წახალისების წესს არეგულირებს საქართველოს მთავრობის №203 დადგენილება https://matsne.gov.ge/ka/document/view/3646690?-publication=0#DOCUMENT:1 საჯარო სამსახურში **დისციპლინური გადაცდომის** სახეებს, პასუხისმგებლობის ზომებსა და დისციპლინური წარმოების დაწყების წესს განსაზღვრავს „საჯარო სამსახურის შესახებ“ საქართველოს კანონი. კანონის 85-ე მუხლის პირველი პუნქტის თანახმად, მოხელის დისციპლინური გადაცდომებია: ✓ სამსახურებრივ მოვალეობათა განზრახ ან გაუფრთხილებლობით შეუსრულებლობა; ✓ საჯარო დაწესებულებისათვის ქონებრივი ზიანის მიყენება ან ასეთი ზიანის წარმოშობის საშიშროების განზრახ ან გაუფრთხილებლობით შექმნა; ✓ ეთიკის ნორმების, ქცევის ზოგადი წესების უგულებელყოფა ან დარღვევა, რომელიც მიმართულია მოხელისა და საჯარო დაწესებულების დისკრედიტაციისაკენ, მიუხედავად იმისა, სამსახურშია იგი ჩადენილი თუ სამსახურის გარეთ. კანონის 96-ე მუხლი ადგენს მოხელის დისციპლინური პასუხისმგებლობის ზომებს: ✓ გაფრთხილება; ✓ საყვედური; ✓ თანამდებობრივი სარგოს 10 პროცენტიდან 50 პროცენტამდე დაკავება 1-დან 6 თვემდე ვადით; ✓ სამსახურიდან გათავისუფლება.

საჯარო სამსახურის ორგანიზაციული მოწყობა	საჯარო დაწესებულების ფუნქციური და ინსტიტუციური ანალიზის დროს ფასდება ორგანიზაციის ფუნქციები, მის სისტემაში შემავალი ცალკეული სტრუქტურული ერთეულების საქმიანობა, პროცესები, ორგანიზაციული სტრუქტურა, მმართველობის ფორმები და არსებული რესურსები რამდენად შეესაბამება ორგანიზაციის მისია-მიზნებს. ✓ ფუნქციური ანალიზის დროს ფასდება საჯარო დაწესებულებების მანდატსა და მის სისტემაში მოქმედი სტრუქტურული ერთეულებისა თუ სხვა საჯარო დაწესებულებების მიერ განხორციელებული ფუნქციებისა და დარგობრივი პოლიტიკის ურთიერთმიმართება. ✓ ინსტიტუციური ანალიზის დროს კი ფასდება საჯარო დაწესებულების ორგანიზაციული მოწყობა. აღნიშნული გულისხმობს სტრუქტურების გაანალიზებას, ხარვეზების გამოვლენას და შესაბამისი რეკომენდაციების მომზადებას არსებული რესურსების ოპტიმიზაციისა და მისია-მიზნების ეფექტიანი მიღწევის ხელშეწყობის უზრუნველსაყოფად. საჯარო დაწესებულებების რეორგანიზაციის პროცესში, „საჯარო სამსახურის შესახებ“ საქართველოს კანონის 104-ე მუხლის თანახმად, ბიურო უზრუნველყოფს საჯარო დაწესებულებების მეთოდოლოგიურ მხარდაჭერას, მათ შორის, ორგანიზაციული მოწყობის საკითხებშიც. საჯარო დაწესებულების **რეორგანიზაციის** პროცესში გამოიყენება შემდეგი სამართლებრივი აქტები: ✓ „საჯარო სამსახურის შესახებ“ საქართველოს კანონი < http://37.46.104.203/media/3110/sajaros-kanoni.pdf > ✓ საქართველოს მთავრობის №199 დადგენილება „პროფესიული საჯარო მოხელის მობილობის წესის შესახებ“ < http://37.46.104.203/media/2935/199-axali.pdf > „საჯარო სამსახურის შესახებ“ საქართველოს კანონის 103-ე მუხლის თანახმად, რეორგანიზაცია არის საჯარო დაწესებულების ინსტიტუციური მოწყობის შეცვლა, რის შედეგადაც მიიღება საჯარო დაწესებულების ნაწილობრივ ან მთლიანად ახალი სტრუქტურა. რეორგანიზაციად ითვლება აგრეთვე საჯარო დაწესებულების შტატების გადაადგილება ან/და შემცირება. მოხელის მობილობა გულისხმობს საჯარო დაწესებულების რეორგანიზაციის, ლიკვიდაციის ან/და სხვა საჯარო დაწესებულებასთან შერწყმის გამო შტატების შემცირების შედეგად თანამდებობიდან გასათავისუფლებელი მოხელის გადასვლას სხვა საჯარო დაწესებულებაში ტოლფას ან უფრო დაბალ თანამდებობაზე. პროფესიული საჯარო მოხელის მობილობის წესი განისაზღვრება საქართველოს მთავრობის №199 დადგენილებით.

სსიპ - საჯარო სამსახურის ბიუროს საკონტაქტო ინფორმაცია:
ტელეფონი: (+995 32) 2 19 27 27
ელ. ფოსტა: info@csb.gov.ge
მისამართი: საქართველო, ქ. თბილისი, 0114, ინგოროყვას ქ. 7

ადმინისტრაციული დეპარტამენტი
ტელეფონი: (+995 32) 2 19 27 27 (121);
ელ. ფოსტა: info@csb.gov.ge

საჯარო სამსახურში ადამიანური რესურსების მართვის დეპარტამენტი
ტელეფონი: (+995 32) 2 19 29 28
ელ. ფოსტა: info@hr.gov.ge

ანალიტიკური დეპარტამენტი
ტელეფონი: (+995 32) 2 19 27 27 (117)
ელ. ფოსტა: info@csb.gov.ge

დეკლარირების უზრუნველყოფის დეპარტამენტი
ტელეფონი: (+995 32) 2 19 28 28
ელ. ფოსტა: info@declaration.gov.ge

დეკლარაციების მონიტორინგის დეპარტამენტი
ტელეფონი: (+995 32) 2 19 27 27 (169)
ელ. ფოსტა: info@csb.gov.ge